პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

KOMUNISTI

საქართველოს კ. კ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и
СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 33-ე წელი

№ 158 (9318)

შაბათი

5

ივლისი

1952 წ.

ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთშია

გავაფართოოთ მშვიდობისათვის ბრძოლის ფრონტი—„პრავდის“ 4/VII მოწინავე (1-ლი გვერდი).

საბჭოთა კავშირში (1-ლი გვერდი).

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში (1-ლი გვერდი).

მაღალ დონეზე ავიყვანოთ საკოლმეურნეო კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა (მე-2 გვერდი).

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმში (მე-2 გვერდი).

რაისაბჭოს მუშაობის უფარგისი სტილი (მე-2 გვერდი).

წალენჯიხის რაიონში [illegible] ლის კრების აგროწელსებს (მე-3 გვერდი).

გ. ლევჩენკო — ფლოტის [illegible] სარდალი (მე-3 გვერდი).

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საგანგებო სესია (მე-3 და მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

გავაფართოოთ მშვიდობისათვის ბრძოლის ფრონტი

ყველა ქვეყნის მილიონობით ადამიანი დიდი უურადღებით ადევნებს თვალს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საგანგებო სესიის მუშაობას, სესიისა, რომელიც 1 ივლისს გაიხსნა ბერლინში.

სესიის დღის წესრიგშია საკითხები, რომლებიც მშვიდობისმოყვარე ხალხების ყურადღების ცენტრში დგას:

გერმანიისა და იაპონიის საკითხების მშვიდობიანი გადაჭრა;

კორეაში ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტა;

გამალებული შეიარაღება და მშვიდობის პაქტისათვის ბრძოლა.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიერ—იმ ორგანოს მიერ, რომელიც გამოხატავს მოწინავე კაცობრიობის ნებას, ამ საკითხების განხილვა და ისეთი გზების დასახვა, რომლებიც შემდგომ გაფართოებენ მშვიდობის დაცვისათვის სახალხო მოძრაობას, ნაკარნახევია თანამედროვე საერთაშორისო ვითარებით.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საგანგებო სესია შეიკრიბა იმ პერიოდში, როცა იმპერიალისტი აგრესორები აძლიერებენ თავიანთ დანაშაულებრივ საქმიანობას ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ. ამავე დროს განუწყვეტლივ იზრდება მშვიდობის სადარაჯოზე მდგომი ძალები. მშვიდობის ბანაკის ძალებს უნარი შეხწევთ ჩაშალონ ახალი ომის გამჩაღებელთა აგრესიული ზრახვები.

როგორც სესიაზე თავის სიტყვაში აღნიშნა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს თავმჯდომარემ ფრედერიკ ჟოლიო-კიურიმ, უკანასკნელ თვეებში მოხდა სერიოზული ამბები, რომლებიც მოწმობს საერთაშორისო ვითარების გაუარესებას. ამას თვალსაჩინოდ მოწმობს ისეთი ფაქტები, როგორიც არის ამერიკის იმპერიალიზმის მიერ იაპონიისა და დასავლეთ გერმანიისათვის სპეციალური სამხედრო ხელშეკრულებების თავსმოხვევა, ამ ქვეყნების გამალებული რემილიტარიზაცია, ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების ცდები—არ დაუშვან შეთანხმების დადება კორეაში დაზავების შესახებ, ამერიკის სამხედრო ხროვის მიერ ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენება.

ჟოლიო-კიურის გამოსვლაში, მშვიდობის დაცვის ინგლისის კომიტეტის აღმასრულებელი თავმჯდომარის გორდონ შაფერის მოხსენებაში, რომელიც მიეძღვნა გერმანიისა და იაპონიის საკითხების მშვიდობიან გადაჭრას, აგრეთვე მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიის მონაწილეთა გამოსვლებში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყველა პატიოსან გერმანელს კარგად ესმის მნიშვნელობა გერმანიის საკითხზე საბჭოთა მთავრობის წინადადებებისა, რომლებიც შეეხებიან როგორც გერმანელი ხალხის ეროვნულ ინტერესებს, ისე მისი მეზობელი ხალხების ეროვნულ ინტერესებს. მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საგანგებო სესიის მონაწილენი თავიანთ გამოსვლებში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ შექმნილი საერთაშორისო ვითარება მოითხოვს მშვიდობის მომხრეებისაგან, ყველასაგან, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობის საქმე, გაძლიერონ ბრძოლა ახალი ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა ხრიკების წინააღმდეგ, კიდევ უფრო გაფართოონ მშვიდობის მომხრეთა საერთაშორისო ორგანიზებული ფრონტი. მშვიდობისათვის მებრძოლნი ითვალისწინებენ, რომ ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე, საჭიროა მეტი გულმოდგინებით ვამხილოთ იმპერიალისტ აგრესორთა ფანდები, მათი ცდები—ხიცრუის ქსელში გახვიოონ ხალხთა მასები, ერთმანეთს დაუპირდაპირონ ხალხები.

„უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, უნდა გავაძლიეროთ ჩვენი ბრძოლა, — განაცხადა ჟოლიო-კიურიმ,—ათასობით კრება, დისკუსია, შეხვედრა, რომლებიც მოეწყობა მსოფლიო კონგრესისათვის მზადების მსვლელობაში, კონგრესისა, რომლის მოწვევასაც ჩვენ ვაპირებთ, მოგვცემს ამისათვის მძლავრ საშუალებებს. ჩვენ საფუძველი გვაქვს გამოვთქვათ ოპტიმიზმი, რადგან ჩვენ აღვნიშნავთ, რომ ბევრი მხრივ ომის მექანიზმი მერყეობდა. ომსა და მშვიდობას შორის ამ შეჯიბრებაში ჩვენ დროზე უნდა გამოვაღვიძოთ მსოფლიოს შეგნება, და მშვიდობა გაიმარჯვებს“.

ხალხთა მოძრაობა მშვიდობის დასაცავად იზრდება, ფართოვდება და მტკიცდება. მაგრამ მშვიდობის დამცველებს ესმით, რომ ამ მოძრაობას უნდა მიეცეს გაცილებით უფრო ფართო გაქანება, უფრო ორგანიზებული ხასიათი, ამ მოძრაობაში უნდა ჩავაბათ ახალ-ახალი მილიონობით ადამიანი, კერძოდ ისინი, ვინც მშვიდობას ეხეწრაფვის, მაგრამ ჯერ კიდევ განზე დგას აქტიური ბრძოლისაგან ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ. მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საგანგებო სესიის მოწვევა მოწმობს, რომ მშვიდობის მომხრეებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი განაზორციელონ მათ წინაშე მდგომი ამოცანები.

მშვიდობის დასაცავად პროგრესული კაცობრიობის მძლავრი მოძრაობის დიად დროშაზე წარწერილია ი. ბ. სტალინის ბრძნული სიტყვები, რომლებიც ყველა ხალხს უჩვენებს მშვიდობის განმტკიცების სწორ გზას: „მშვიდობა შენარჩუნებულ და განმტკიცებული იქნება, თუ ხალხები მშვიდობის შენარჩუნების საქმეს თავიანთ ხელში აიღებენ და ბოლომდე დაიცავენ მას“.

ივლიან რა ამ გზით, მშვიდობის მომხრეები, რომლებიც გამოხატავენ ყველა ხალხის მისწრაფებას მშვიდობისადმი, შეძლებენ მშვიდობისათვის დიად ბრძოლას მისცენ უფრო მახვილი და ორგანიზებული ხასიათი. ომის წინააღმდეგ ბრძოლა და მშვიდობის დაცვა მსოფლიოს ყველა ხალხის საქმეა!

„პრავდის“ 4-VII მოწინავე.

საბჭოთა კავშირში

★ ★ ★

ფერადი ასფალტი

მოსკოვის ზოგიერთი ქუჩისა და მოედნის რუხ ასფალტზე დაინახავთ ფერად ადგილებს. ეს არის ფერადი ასფალტით დაგებული საცდელი ნაკვეთები.

ცისფერმა და ვარდისფერმა ასფალტის ბილიკებმა დაამშვენა სკვერის შესასვლელი ნეგლინნაია ქუჩაზე. ფერადი ასფალტით მონიშნულია გადასასვლელები ფრუნზესა და ბასმანნაია ქუჩებზე. ფერადი ასფალტი საცდელად დააგეს აგრეთვე კუზნეცკის ხიდზე და მოსკოვის საბჭოსთან.

ახლა დამთავრდა გზის ახალი საშენი მასალის ლაბორატორიული გამოცდა. კომუნალური მეურნეობის მუშაკებმა გამონახეს ყველა ფერის ასფალტის დამზადების წესი. ამ ასფალტს იგივე თვისებები აქვს, როგორიც ჩვეულებრივს. ფერადი ასფალტი ფართოდ იქნება გამოყენებული ქუჩების, მოედნებისა და სკვერების დეკორაციული გაფორმებისათვის.

დასახულია ლონისძიებანი, რომ ფერადი ასფალტის დამზადება მოეწყოს საწარმოო მასშტაბით. (საკდესი).

ასფალტ-ბეტონის ქარხანა კახოვკის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე

ნოვაია კახოვკა, 3 ივლისი. (საკდესი). დღეს ამუშავდა „დნეპრმშენის“ ასფალტ-ბეტონის ქარხანა. მისი წარმადობაა 30 ტონა ასფალტი საათში.

გზების მშენებლები შეუდგნენ ნოვაია კახოვკის მოედნებისა და ქუჩების მოასფალტებას. სულ წელს მოასფალტებულ იქნება 100 ათასამდე კვადრატული მეტრი გზები და ტროტუარები.

ყირგიზეთის უნივერსიტეტის პირველი გამოშვება

ფრუნზე, 3 ივლისი. (საკდესი). ყირგიზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივმა გუშინ ზეიმით აღნიშნა თავისი პირველი გამოშვება. უნივერსიტეტი დაამთავრა 418 კაცმა, რომელთაც მიენიჭათ საშუალო სკოლის მასწავლებლის წოდება. ახალგაზრდა პედაგოგთა შორის 187 ყირგიზია.

კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის სამშენებლო მოედანზე

სტავროპოლი, (კუიბიშევის ოლქი), 3 ივლისი. (საკდესი). მოგუტოვის მთის ფერდობზე, რომლის ძირში თხრიან კუიბიშევის ჰესის ქვაბულს, თეთრი ქვისაგან სიყვარულით არის გამოყვანილი სიტყვები: „სტალინს დიდება“.

მშენებლები შთაგონებულად შრომობენ, ერთმანეთს ეჯიბრებიან დიდი ბელადისადმი მიმართული წერილით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის. ისინი იბრძვიან, რათა რაც შეიძლება მალე მოამზადონ ქვაბული ბეტონის ჩასასხმელად. სულ უფრო ღრმად იჭრება მიწაში ელექტროექსკავატორთა უზარმაზარი ციცხვები. 10-ტონიანი თვითდამცლელი ავტომანქანების მძღოლებს ყოველდღე გამოაქვთ ათასობით კუბმეტრი გრუნტი.

მექანიზატორებმა, რომლებიც ქვაბულში და წყალმიმყვან არხზე მუშაობენ, ახალი საწარმოო წარმატებები მოიპოვეს. მემანქანის ამხ. ევეიკის ბრიგადამ ურალის მანქანათმშენებელი ქარხნის სამკუბიანი ექსკავატორის სადღეღამისო გამომუშავება 3.600 კუბმეტრამდე აიყვანა, ნორმას ერთიორად გადააჭარბა. მეექსკავატორის ამხ. ლიამინის ბრიგადამ კიდევ უფრო გაადიდა მანქანის წარმადობა — 4.000 კუბმეტრამდე დღეღამეში. სარეკორდო მაჩვენებელს — დღე-ღამეში 5 ათას კუბმეტრს მიაღწიეს ახალგაზრდა მექანიკოვატორეებმა ამხ. იაშკუნოვმა, სერდიუკოვმა და ჩეკოლდაევმა. ექსკავატორი, რომლითაც ისინი მუშაობენ, აღჭურვილია გამარტივებული ტიპის ციცხვით, რომელიც კონსტრუირებულია მათი ბრიგადირის ამხ. კოვალენკოს წინადადებით.

მექანიკოვატორეებს არ ჩამორჩებიან თვითდამცლელი ავტომანქანების მძღოლები, ტრაქტორისტები და ბულდოზერისტები. ასობით მექანიზატორი სტახანოვურად შრომობს.

მიწის თხრის სამუშაოთა ოვნისის გეგმა შესრულებულია გადაჭარბებით. ჰესის ქვაბულიდან და წყალმიმყვანი არხიდან ამოღებულია 300 ათას კუბმეტრზე მეტი გრუნტი. სტახანოველებმა გადაწყვიტეს ივლისში ამოიღონ 400 ათასი კუბმეტრი.

დაინყო სტუდენტთა პრაქტიკები

დაიწყო სტუდენტთა საზაფხულო არდადეგები. 3 ივლისს მოსკოვიდან გაემგზავრნენ მოსწავლე ახალგაზრდობის პირველი ჯგუფები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ სტუდენტთა საკავშირო სპარტაკიადაში. სპარტაკიადა მოაწყეს სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტრომ და ხებაყოფლობითმა სასპორტო საზოგადოება „ნაუკამ“. სპარტაკიადა გაიმართება კიევში 7-დან 12 ივლისამდე. სპორტული კოლექტივები ერთმანეთს შეეცილებიან პირველობას მძლეოსნობაში, ცურვაში, ტახვარჯიშში, ფრენბურთში, წყალბურთში. სტუდენტთა ოცი საუკეთესო გუნდი მონაწილეობას მიიღებს ვოლგომარულაში მარშრუტით: კიევი-ჟიტომირი-კიევი. სულ სპარტაკიადაში მონაწილეობს ჩვენი ქვეყნის 54 უმაღლესი სასწავლებლის 1.700-ზე მეტი სპორტსმენი.

სტუდენტთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს ტურისტთა ლაშქრობა და მგზავრობა: ასობით ჭაბუკი და ქალიშვილი გაემგზავრა ყირიმში, კავკასიაში, ურალში. ბევრი მათგანი ზაფხულს ალპინისტთა ბანაკებში გაატარებს. მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლისა და ი. ბ. სტალინის სახელობის ჩარხსაინსტრუმენტო ინსტიტუტის სტუდენტები სასპორტო ბანაკებს ხსნიან მოსკოვის მახლობლად. მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის 170 უფროსკურსელი გაემგზავრა კომუნიზმის დიად მშენებლობათა რაიონებში. საშეფო კოლმეურნეობებში წავლენ მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ვ. მ. მოლოტოვის სახელობის ენერგეტიკული ინსტიტუტისა და დედაქალაქის მთელი რიგი სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები. ისინი კოლმეურნეობებს გაუწევენ დახმარებას მინდვრის სამუშაოებში, სოფლის ჰიდროელექტროსადგურების გურბურებისა და წყალსატევების მშენებლობაში. (საკდესი).

როგორ შეიცვალა უდაბნოს ჰავა

ტაშკენტი. (საკდესი). მალე ყარაყუმის უდაბნოს გადასერავს დიადი არხი. მინდვრები მწვანე ხალჩით დაიფარება, აშრიალდება ბაღები, შეიქმნება წყალსაცავები, მძლავრი ტყის ზოლები ქვიშის შემოტევისაგან დაიცავენ ნათესებსა და ბაღ-ბოსტნებს. უზარმაზარ ფართობზე სრულიად შეიცვლება ბუნება. სულ სხვა გახდება ამ ადგილების კლიმატი და მიკროკლიმატი. ნიადაგის ზედაპირიდან და მცენარეული საფარიდან წყლის მძლავრი აორთქლების მეოხებით მკვეთრად იმატებს ჰაერის ტენიანობა. დაიკლებს ტემპერატურა, ხოლო ტყის მასივების ზეგავლენით შემცირდება ქარის ძალა და ხიჩქარე. ყარა-ყუმის ჰავა უფრო რბილი გახდება.

ასეთია მეცნიერთა ვარაუდი. მაგრამ როგორი იქნება სინამდვილეში ის მეტეოროლოგიური ცვლილებები, რაც უდაბნოში მოხდება თურქმენეთის მთავარი არხის აგების შემდეგ? ამ ამოცანის გადასაწყვეტად განზრახულია მოეწყოს ფართო საექსპედიციო გამოკვლევა.

გოლოდნაია სტეპის რაიონში უკვე იგზავნება დიდი სამეცნიერო ექსპედიცია. მისი მონაწილენი გამოიკვლევენ საბჭოთა მეურნეობების „პახტა-არალისა“ და „ოქტომბრის 30 წლის“ ტერიტორიას.

მეცნიერებმა შემთხვევით როდი აირჩიეს სწორედ ეს პუნქტები. მებამბეობის უდიდეს მეურნეობა „პახტა-არალში“ არის ვრცელი ფართობები მინდორსაცავი ტყის ზოლების კარგად განვითარებული სისტემით, ხოლო აქედან შედარებით ახლოს მდებარე ახალგაზრდა საბჭოთა მეურნეობა „ოქტომბრის 30 წელი“ ესაზღვრება გოლოდნაია სტეპის ყამირ მიწებს და სულ ორმოცი კილომეტრით არის დაშორებული ყიზილ-ყუმის უდაბნოს. ორივე ეს პუნქტი გოლოდნაია სტეპის მასივის ათვისებამდე ერთნაირ კლიმატურ პირობებში იყო, ახლა კი ერთიმეორისაგან მკვეთრად განსხვავდება ტემპერატურის რეჟიმით და ჰაერის ტენიანობით. „პახტა-არალში“, სადაც სარწყავი მიწების დიდი ფართობებია, ჰაერის ტემპერატურა უფრო ტენიანი და გრილია, ვიდრე საბჭოთა მეურნეობაში „ოქტომბრის 30 წელი“.

ამ ორი საბჭოთა მეურნეობის შედარებითი შესწავლის საფუძველზე მეცნიერები გამოარკვევენ სარწყავი მიწათმოქმედებისა და ტყის ზოლების როლს ჰავის შექმნაში. მიღებული შედეგები შეუფარდდება არა მარტო თურქმენეთის მთავარი არხის ზონას, არამედ აგრეთვე ყოლგისპირეთის გეალვიან ველებს.



საზაფხულო ნაოსნობა მოსკოვის სახელობის არხში. სურათზე: რაბებში გავლის შემდეგ გემები არხიდან დიდ ვოლგაზე გადიან.

ფოტო ნ. გრანოვსკისა (საკდესის ფოტოქრონიკა)

შეასრულეს ჯიშიანი აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა

ქუთაისი, 3 ივლისი. (საკდესი). ქუთაისის საგრენაჟო ქარხნის კოლექტივმა, რომელიც ეჯიბრება ლენინაბადის საგრენაჟო ქარხანას, მნიშვნელოვანი საწარმოო გამარჯვება მოიპოვა. 1 ივლისს ქარხანამ გადამეტებით შეასრულა ჯიშიანი აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური დავალება. გეგმის გადამეტებით დამზადებულია 500 კილოგრამი აბრეშუმის პარკი. აბრეშუმის ჭიის თესლის თვითეულ კოლოფზე საშუალოდ მიღებულია 78,2 კილოგრამი პარკი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 49,8 კილოგრამისა.

ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წლიური გეგმის გადამეტებით დაამზადოს 40 ცენტნერი ჯიშიანი აბრეშუმის პარკი.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

პრაღის რადიოტექნიკის ქარხანას მოსკოვის სახელი მიეკუთვნა

პრაღა, 3 ივლისი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქის მოწინავე სამრეწველო საწარმოს —რადიოტექნიკის ქარხანა „ტესლას“ გამოეცალა სახელწოდება და დაერქვა მოსკოვის სახელობის ქარხანა. ამასთან დაკავშირებით გაიმართა ქარხნის მუშათა და მოსამსახურეთა ხალხმრავალი მიტინგი ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს, ეროვნულ ფრონტში შემავალი ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

მიტინგის მონაწილეებმა მჭუხარე, ხანგრძლივი ოვაცია გამართეს მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადისა და მასწავლებლის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის პატივსაცემად.

მიტინგზე წაკითხულ იქნა ქარხნის კოლექტივის ვალდებულება. საწარმოს მუშებმა და მოსამსახურეებმა ქარხნისათვის მოსკოვის სახელის მიკუთვნების აღსანიშნავად ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმა შეასრულონ 1952 წლის 21 დეკემბრისათვის და დაზოგონ 2.167 ათასი კრონა.

ჩინეთის მოწინავე მუშები კომუნისტურ პარტიაში შედიან

პეკინი, 2 ივლისი. (საკდესი). ჩინეთის მოწინავე მუშები კომუნისტურ პარტიაში შედიან.

როგორც დღეს გაზეთი „ჟენმინჟიბაო“ იუწყება, შანხაის სახელმწიფო სამრეწველო საწარმოთა 385 მუშა მიღებულ იქნა კომუნისტური პარტიის წევრობის კანდიდატად. ყველა მუშა, რომელიც კომუნისტურ პარტიაში შედის, წარმოების მოწინავე, აქტიური საზოგადოებრივი მუშაკი და პარტიული სკოლის მსმენელია. პარტიაში მიღებულთა შორის 175 კაცი ახალგაზრდობის ახალდემოკრატიული კავშირის წევრია.

დღეს გაზეთ „გუნქენჟიბაოში“ გამოქვეყნებული ცნობების თანახმად, ქალაქ უსის საფეიქრო საწარმოთა 137 მოწინავე მუშა მიღებულია ჩინეთის კომუნისტური პარტიის რიგებში.

ჩინელი მუშების პატრიოტული შეჯიბრების წარმატებანი

პეკინი, 2 ივლისი. (საკდესი). ჩინეთის მშრომელებმა დიდი წარმატებები მოიპოვეს პროდუქციის გამოშვების გადიდებისა და მომჭირნეობის რეჟიმის დაცვისათვის პატრიოტული შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში და თავიანთი საწარმოო მიღწევანი ჩინეთის კომუნისტური პარტიის 31-ე წლისთავს მიუძღვნეს.

გაზეთი „გუანმინჟიბაო“ დღეს იუწყება, რომ ჩინეთში ცნობილმა სუძიატუნის დეპოს ჯენ სინკუნის საორთქლმავლო ბრიგადამ ჩინეთის კომუნისტური პარტიის 31-ე წლისთავის აღსანიშნავად ვადაზე 5 დღით ადრე შეასრულა ნაკისრი ვალდებულებანი. ბრიგადამ ორთქლმავლის საშუალო სადღეღამისო გარბენი აიყვანა 564,3 კილომეტრამდე, ნორმის გადამეტებით გადაზიდა 42.000 ტონა ტვირთი და ამასთან 20 პროცენტით შეამცირა ორთქლმავლის რემონტისა და საექსპლოატაციო ხარჯები.

ზოგანისა და ნანშანის ქვანახშირის მაღაროების კოლექტივებმა ვადამდე შეასრულეს ნახევარი წლის დავალებანი. ბებეის პროვინციაში ძინსინის ქვანახშირის მაღაროების № 3 შახტის მეშახტეებმა ნახევარი წლის დავალება ვადაზე 30 დღით ადრე შეასრულეს. ჩენძესის ქვანახშირის მაღაროების მეშახტეები დღეში 1.700-ზე მეტ ტონა ქვანახშირს იღებენ, რაც ყველაზე დიდი მოპოვებაა ამ მაღაროების მთელ ისტორიაში.

მონღოლი ხალხი ახალი წარმატებებით ეგებება მონღოლეთში სახალხო რევოლუციის 31-ე წლისთავს

ულან-ბატორი, 2 ივლისი. (საკდესი). 11 იულისს მონღოლი ხალხი იდღესასწაულებს მონღოლეთში სახალხო რევოლუციის 31-ე წლისთავს. მთელ მონღოლეთში ფართოდ გაჩაღდა მზადება ამ ღირსშესანიშნავი თარიღისათვის. ასრულებენ რა საყოველთაო-სახალხო დღესასწაულის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებებს, საწარმოთა, სახელმწიფო მეურნეობათა, არატელის საწარმოო გაერთიანებათა კოლექტივებმა და მოწინავე მეჯოგეებმა ახალი შრომითი წარმატებანი მოიპოვეს.

შვიდი თვის საწარმოო გეგმა ყველა მაჩვენებლის მიხედვით ვადამდე შეასრულეს მარშალ ჩოიბალსანის სახელობის მოწინავე სამადნოს მეშახტეებმა. თავიანთი სიტყვა ღირსეულად გაანაღდეს სამრეწველო კომბინატის ფეხსაცმლისა და სამკერვალო ფაბრიკის მუშებმა. მათ გადაჭარბებით შეასრულეს წლის პირველი ნახევრის გეგმა, საბჭოთა სტახანოველების მეთოდით მუშაობენ და მტკიცედ იბრძვიან ახალი წარმატებებისათვის.

მონღოლეთის მოწინავე მეჯოგეები დღესასწაულს ხვდებიან მოზარდეულის გაზრდის გეგმის გადაჭარბებით შესრულებით და მეცხოველეობის პროდუქტების ვადამდე ჩაბარების დამთავრებით. მონღოლეთში პირველი ადგილი უკავიათ სუხე-ბატორის ოლქის მეჯოგეებს.

პოლონეთის ტექნიკის ახალი მიღწევა

ვარშავა, 3 ივლისი. (საკდესი). შჩეცინის ნავსადგურში ამუშავდა ახლად აგებული ქვანახშირის ტრანსპორტერი. 400 ელექტრომოტორიანი ამ აგრეგატის წარმადობა 15 მძლავრი ამწის წარმადობას უდრის. ტრანსპორტერის ამუშავება საგრძნობლად დაჩქარებს გემების დატვირთვას და შეამცირებს რკინიგზის ვაგონების მოცდენას.

მაღალ დონეზე ავიყვანოთ საკოლმეურნეო კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

შედგა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე პლენუმი, რომელმაც განიხილა კომკავშირის გურჯაანისა და მაიაკოვსკის რაიკომების მდივნების მოხსენებანი საკოლმეურნეო კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა საკითხზე.

პლენუმზე აღინიშნა, რომ გურჯაანის რაიონის კომკავშირული ორგანიზაციები გარკვეულ მუშაობას ეწევიან საქართველოს კომკავშირის XIX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, იმ სერიოზული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, რაც გამოწვეული იყო საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ყოფილ ხელმძღვანელთა მუშაობის უვარგისი, კაბინეტური სტილის და პირველადი ორგანიზაციებისადმი კომკავშირის რაიკომის არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისა და დახმარების შედეგად, მაგრამ ეს მუშაობა დღემდე ძლიერ ნელი ტემპით მიმდინარეობს. საკოლმეურნეო კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობას მთელი რიგი არსებითი ნაკლოვანებანი ახასიათებს.

როგორც მომხსენებელმა ამხ. რაქვიაშვილმა (გურჯაანი) აღნიშნა, ბევრი კომკავშირელი, აგრეთვე არაკომკავშირელი ახალგაზრდობის დიდი უმრავლესობა ჩაბმული არ იყო პოლიტიკურ სწავლებაში. ეს უწინარეს ყოვლისა იმის შედეგია, რომ კომკავშირის რაიკომმა საკმაო რაოდენობით ვერ შეარჩია პროპაგანდისტთა კადრები, არსებული პოლიტსკოლებისა და წრეების მნიშვნელოვანმა რაოდენობამ ვერ ამოსწურა სასწავლო პროგრამა. ბევრგან დაბალ იდეურ დონეზე ეწყობოდა მეცადინეობა, პოლიტიკური განათლების ქსელი უზრუნველყოფილი არ იყო ლიტერატურის საჭირო რაოდენობით. კომკავშირის რაიკომის მომხსენებელთა ჯგუფი ძლიერ ცუდად მუშაობს: დღემდე ვერ მოხერხდა პრაქტიკაში დანერგილიყო კომკავშირის რაიკომის ხელმძღვანელ მუშაკთა მოხსენებებით გამოსვლა პირველადს ორგანიზაციებში, ახალგაზრდობის წინაშე.

კოლმეურნე ახალგაზრდობაში სუსტი პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შედეგია ის, რომ რაიონის კომკავშირული ორგანიზაცია არადამაკმაყოფილებლად იზრდება მოწინავე კოლმეურნე ახალგაზრდობით.

ახალგაზრდობის მონაწილეობა საკოლმეურნეო შრომაში ჯერ კიდევ სუსტია, მრავალი კოლმეურნე ახალგაზრდა, მათ შორის კომკავშირელებიც, ვერ იმუშავებს შრომადღეების საგალდებულო მინიმუმს. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა კალაურის, მუკუზნის, ახაშნის და ზოგიერთი სხვა სოფლის კოლმეურნეობებში. რაიკომი ხშირად მსჯელობს საკოლმეურნეო შრომაში ახალგაზრდობის მონაწილეობის საკითხებზე, მაგრამ იმის გამო, რომ იგი არ ამოწმებს თავის დადგენილებათა შესრულებას, მდგომარეობა უცვლელი რჩება.

პარტიის რაიონული კომიტეტი და პირველადი პარტიული ორგანიზაციები სუსტად ხელმძღვანელობენ და ეხმარებიან კომკავშირულ ორგანიზაციებს.

თანამოხსენებით გამოვიდა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. გ. დედაბრიშვილი.

— მაიაკოვსკის რაიონში არის 16 საკოლმეურნეო კომკავშირული, ორგანიზაცია, — თქვა თავის მოხსენებაში რაიკომის მდივანმა ამხ. კ. კვირიკაშვილმა, — მათში 686 კომკავშირელია გაერთიანებული. მაგრამ იმის გამო, რომ კომკავშირის რაიკომი სათანადოდ ვერ ხელმძღვანელობს საკოლმეურნეო კომკავშირულ ორგანიზაციებს, მათი როლი საზოგადოებრივი მეურნეობის ზრდისა და განმტკიცების საქმეში არ ჩანს. პირიქით, კომკავშირელთა ერთი ნაწილი ზარმაცობს, თავს არიდებს საკოლმეურნეო შრომას. რაიონის კოლმეურნეობებში კი ყველაფერი რიგზე როდია, რაიონის ყოფილ ხელმძღვანელ მუშაკთა უპასუხისმგებლო და დანაშაულებრივი მუშაობის შედეგად დაბალია კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაცია, კოლმეურნეთა მნიშვნელოვანი რაოდენობა ვერ იმუშავებს შრომადღეების სავალდებულო მინიმუმს. ზოგ კოლმეურნეობაში უხეშად მახინჯდებოდა სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდება: იყო საკოლმეურნეო მიწების, პირუტყვის, იარაღ-მანქანების დატაცების შემთხვევები, ხოლო კომკავშირული ორგანიზაციები არ იბრძოდნენ ამ ნაკლოვანებებისა და დამახინჯებების გამოსასწორებლად. კომკავშირის რაიკომმა ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნა მუშაობა. კვლავ სუსტად დგას კოლმეურნე ახალგაზრდობაში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი საქმიანობა.

საკოლმეურნეო შრომაში ახალგაზრდობის სრულიად არადამაკმაყოფილებელი მონაწილეობა იმითაც არის გამოწვეული, რომ ცუდად არის დაყენებული ახალგაზრდობის პოლიტიკური განათლების საქმე. სუსტია საგაბატაციო-მასობრივი მუშაობა და ლექციური პროპაგანდა ახალგაზრდობაში.

ამხ. კვირიკაშვილმა გააკრიტიკა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი და ჭუთაისის საოლქო კომიტეტი, რომელთა მუშაობაში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი კაბინეტური კარჩაკეტილობა, მათი ზოგიერთი მუშაკები არ დადიან რაიონებში, არ ეხმარებიან ადგილობრივ კომკავშირულ ორგანიზაციებს ნაკლოვანებათა გამოსწორებაში.

თანამოხსენებით გამოვიდა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სოფლის ახალგაზრდობას შორის მუშაობის განყოფილების გამგე ამხ. შ. კოპაძე.

მოხსენებათა გამო კამათში პირველი გამოვიდა კომკავშირის ჭუთაისის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. შ. ვერულაშვილი, იგი შეეხო ოლქში შემავალი რაიონების კოლმეურნე ახალგაზრდობის შრომითს საქმიანობას და განსაკუთრებით მკაცრად გააკრიტიკა კომკავშირის მაიაკოვსკისა და ლანჩხუთის რაიკომები. მაგრამ ამხ. ვერულაშვილმა არაფერი თქვა იმაზე, თუ როგორ ფიქრობს კომკავშირის ჭუთაისის საოლქო კომიტეტი კომკავშირის რაიკომებისადმი ხელმძღვანელობის გაძლიერებას.

გურჯაანის მტს-ის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ამხ. დ. როსტომაშვილმა გააკრიტიკა კომკავშირის გურჯაანის რაიკომის ბიუროს წევრები, რომლებიც იშვიათად დადიან მტს-ებში. რაიკომის მომხსენებელთა ჯგუფის წევრებს არც ერთი მოხსენება არ წაუკითხავთ მტს-ის ახალგაზრდობისათვის. ამხ. როსტომაშვილმა უსაყვედურა მომხსენებლებსა და თანამომხსენებლებს, რომლებმაც არაფერი თქვეს მტს-ებში მომუშავე ახალგაზრდობის შესახებ.

კომკავშირის გორის რაიკომის მდივანმა ამხ. რ. ბზიშვილმა გააკრიტიკა თანამომხსენებელი, რომლებმაც, ილაპარაკეს რა კომკავშირის რაიკომების ნაკლოვან მხარეებზე, არაფერი თქვეს იმაზე, თუ როგორ დაეხმარენ ისინი ადგილებზე ამხანაგებს. ბზიშვილმა გააკრიტიკა აგრეთვე კომკავშირული გაზეთები, რომლებიც სუსტად ამუქებენ რესპუბლიკაში მოსავლის აღების მიმდინარეობას.

კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სოფლის ახალგაზრდობას შორის მუშაობის განყოფილების ნაკლოვან მხარეებს შეეხნენ კომკავშირის თბილისის საოლქო კომიტეტის მდივანი ი. სარაჯიშვილი და კომკავშირის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ს. როგვავა. მათ კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსაგან მოითხოვეს კონკრეტულად დაეხმაროს ადგილობრივ ორგანიზაციებს.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა კ. შავიშვილმა, კომკავშირის ქედის რაიკომის მდივანმა ი. დავითაძემ, მაიაკოვსკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირის პირველადი ორგანიზაციის მდივანმა ბ. მახარაძემ, კომკავშირის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა პ. თედეევმა, ლაგოდეხის რაიონის სოფელ ცოდნისკარის კოლმეურნემ, სოციალისტური შრომის გმირმა შ. ფეიქრიშვილმა და სხვებმა.

პლენუმზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. მ. მეგრელიშვილი.

აღსანიშნავია, რომ პლენუმზე, რომელიც საკოლმეურნეო კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის საკითხს განიხილავდა, არ იყო მოწვეული ყველა სასოფლო რაიკომის მდივანი, რაც სერიოზულ ნაკლად უნდა ჩაითვალოს.

პლენუმმა დასახა სათანადო ღონისძიებანი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. ცხოვრებაშვილმა, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. ვ. სტეპანოვმა და სოფლის ახალგაზრდობას შორის მუშაობის განყოფილების გამგის მოადგილემ ამხ. ვ. მოლდავანმა.

კვების მრეწველობის მშენებლობები

დიდი თანხებია წელს გათვალისწინებული საქართველოს სსრ კვების მრეწველობის ახალი საწარმოების ასაგებად. გარდა ჩაის მთელი რიგი ახალი ფაბრიკებისა, რესპუბლიკის კვების მრეწველობას უახლოეს დროში მრავალი სხვა ახალი საწარმოც შეემატება.

ბორჯომში დაწყებულია მინერალური წყლის ჩამოსასხმელი დიდი ქარხნის მშენებლობა, რომელიც ყოველწლიურად უნდა მოგვცეს ორჯერ მეტი ბორჯომის წყალი, ვიდრე არსებული ქარხანა გვაძლევს.

წინანდლის საბჭოთა მეურნეობაში დაწყებულია სამი მილიონი ბოთლის ტევადობის საღვინე სარდაფის მშენებლობა. ამ სარდაფის აგებასა და მოწყობაზე წელს 1 მილიონი მანეთის ათვისებაა გათვალისწინებული.

წარმატებით შენდება და წლის ბოლოსათვის ამუშავებულ იქნება ახალი მძლავრი ლუდსახდელი ქარხანა ქალაქ სუხუმში.

ყველა ამ ახალ მშენებლობასთან აშენებენ მუშათა საცხოვრებელ დაბებს. წელს ამ დაბებში კვების მრეწველობის საწარმოთა მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსების შესასახლებლად გამზადებულ იქნება 18.000 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

ახალი სასკოლო შენობები

მომავალი სასწავლო წლისათვის რესპუბლიკაში მთელი რიგი ახალი სასკოლო შენობების აგება უნდა დამთავრდეს. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო მშენებლობის განყოფილების ცნობით, საშუალო სკოლებისათვის შენობების აგება წარმატებით მიმდინარეობს თეთრი წყაროს, მარნეულის, გეგეჭკორის, თერჯოლის რაონულ ცენტრებში, გორის (სოფელი ვარიანი) და დმანისის (სოფელი დიდი დმანისი) რაიონებში.

რვაწლიანი სკოლებისათვის ახალ შენობებს აშენებენ კაჭრეთის (სოფელი მახარაძე) და მახარაძის (სოფელი ნაგომარი) რაიონებში.

ყველა ეს ახალი სასკოლო შენობა მზად იქნება 1 სექტემბრისათვის. გარდა ამისა, 1 სექტემბრისათვის დამთავრდება ორი ახალი საშუალო სკოლის შენობის აგება და მოწყობა თბილისში.

36.000 მებოსტნე-რკინიგზელი

რკინიგზელთა პროფკავშირის ამიერკავკასიის საგზაო კომიტეტის ცნობით წელს 36.000 რკინიგზელს გაშენებული აქვს ინდივიდუალური ბოსტნები, რაც საერთო ფართობით 5.574 ჰექტარს შეადგენს. თავიანთ საბოსტნე ნაკვეთებზე რკინიგზელებმა დათესეს სიმინდი, კარტოფილი, ხახვი, ნიორი, კომბოსტო, სტაფილო, კიტრი, ნესვი, საზამთრო და სხვა კულტურები.

წელს რკინიგზელმა მებოსტნეებმა ნაკვეთები სანიმუშოდ და აგროწესების სრული შესაბამისობით დაამუშავეს. განსაკუთრებით კარგი ბოსტნები აქვთ ხაშურელ და სამტრედიელ რკინიგზელებს.

ინდივიდუალური მებოსტნეობის განვითარებაში ჩამორჩნენ თბილისისა და ნავთლუღის კვანძის რკინიგზელები.

სამედიცინო მუშაკების თავდადებული შრომა

ჩრდილოეთ კავკასიის საზამთრო საძოვრებზე, სოფელ ჩორნი რინოკში არსებობს საავადმყოფო, რომელსაც 1945 წლიდან ახალგაზრდა ექიმი ალექსანდრე მარსაგიშვილი ხელმძღვანელობს. საავადმყოფოს მუშაკები ენერგიის დაუზოგავად ემსახურებიან თბილისის ოლქის რაიონების მწყემსებს.

წელს ახმეტის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ცხვრის ფარაში შევარდა ცოფიანი მგელი, რომელმაც რამდენიმე ბატკანი დაკბინა. მწყემსებს საშიშროება ელოდათ. საავადმყოფოს მუშაკებმა დროზე მოაწყეს ცოფის საწინააღმდეგო აცრა და ადამიანები სიკვდილს გადაარჩინეს.

მწყემსს პ. ჩქარეულს მწვავე აპენდიციტი ჰქონდა. ამხ. ა. მარსაგიშვილმა მას სასწრაფო დახმარება აღმოუჩინა და ჩქარეული მალე განიკურნა.

საავადმყოფოს მუშაკები მწყემსებს ესაუბრებიან სამედიცინო საკითხებზე, ახორციელებენ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, დროზე და მზრუნველობით მკურნალობენ მეცხოველეებს.

საავადმყოფო განიცდიდა ბინის სივიწროვეს. საჭირო იყო ამბულატორიის შენობის აგება. ამხ. ა. მარსაგიშვილი მოელაპარაკა თანამშრომლებს და მათ სამსახურისაგან თავისუფალ საათებში უსასყიდლოდ დაამზადეს მშენებლობისათვის საჭირო აგური, იმუშავეს კედლების აგებაზე. მათ სულ 10 ათასი მანეთის სამუშაო შეასრულეს.

საავადმყოფოს ახლა აქვს კარგად მოწყობილი ბინა და საუკეთესო ინვენტარი.

ა. თოდუაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

საბჭოთა-მშენებლობა

რაისაბჭოს მუშაობის უვარგისი სტილი

ზნაურის რაიონის კოლმეურნეობათა დიდ ნაწილში ძალიან გაჭიანურდა თესვა, დაუთესავი დარჩა ასობით ჰექტარი სიმინდი. მინერალური სასუქით პურეულის ნათესების დამატებითი კვებაც არ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებულ მთელ ფართობზე. აქედან სათანადო დასკვნები არ გააკეთეს. ახლაც, ნათესების დამუშავებისა და პურეულის მოსავლის აღებისათვის მზადების დღეებში, კვლავ უყაირათოდ, თვითდინებით მუშაობენ.

ჩამორჩენის მთავარი მიზეზი ის არის, რომ რაიონული საბჭო ძალიან ზღუდავს თავის როლს, მუშაობაში არ ეყრდნობა აქტივს, არ იბრძვის მასასთან კავშირის განმტკიცებისათვის. რაისაბჭოს აღმასკომის მუშაკებმა დაივიწყეს, რომ აქტივთან კავშირის გაფართოებისათვის მთავარი როლი მუდმივ კომისიებს ეკუთვნით.

როცა რაიონში მინდვრის სამუშაოთა ტემპი თვეების მანძილზე ჩამორჩება, როცა მთელ რიგ კოლმეურნეობებში არის სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების უხეშად დარღვევის შემთხვევები, როცა ამდენი ჩრდილოვანი მხარეა და რაისაბჭოს სამუშაო აუარებელი აქვს, — მუდმივი სასოფლო-სამეურნეო კომისია სრულ უმოქმედობას იჩენს. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ამ კომისიას რიმე საკითხი დაეყენებინოს საბჭოს წინაშე. მუშაობაში მომთხოვნელობის უგულებელყოფამ მოადუნა მუდმივ კომისიაში გაერთიანებულ დეპუტატთა პასუხისმგებლობა. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ისინი იმ უბნებზეც ვერ იჩენენ აქტივობას, სადაც უშუალოდ მუშაობენ. მაგალითად, მუდმივი სასოფლო-სამეურნეო კომისიის წევრი დეპუტატი კ. ჯიოევი სოფელ თერეგვანის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში მუშაობს. ამ კოლმეურნეობაში არის საკოლმეურნეო მიწების დატაცების შემთხვევები; ისარგებლეს რა კოლმეურნეობის ხელმძღვანელობის გულგრილობით, ცალკეულმა უსინდისო ადამიანებმა კოლმეურნეობას წაჰგლეჯეს 1,7 ჰექტარი ფართობი. ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ კოლმეურნეობაში სისტემატურად ჩამორჩება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. აქ მიმდინარე წლის გაზაფხულზე ჩაშალეს სიმინდის თესვის გეგმის შესრულება. ყველაფერი ეს ხდება რაისაბჭოს მუდმივი სასოფლო-სამეურნეო კომისიის წევრის კ. ჯიოევის თვალწინ.

რაონული საბჭოს აღმასკომი დაინტერესებული არ არის ამ კომისიის საქმიანობით, არ ზრუნავს მისი ინიციატივის, აქტივობის განვითარებისათვის. ეს შემთხვევითი როდია. რაიაღმასკომში ფეხი მოიკიდა სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის უვარგისმა სტილმა. აღმასკომი ჩაეფლო წვრილმან საქმეებში.

ცნობილია ხელმძღვანელი საკოლმეურნეო კადრების მომზადების დონის გადამწყვეტი მნიშვნელობა. მაგრამ არც რაიაღმასკომი და არც მუდმივი სასოფლო-სამეურნეო კომისია ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს სათანადოდ არ აფასებენ. ამას მოწმობს ის, რომ რაიონის ტექნიკუმი [illegible] მუშაობს თავმჯდომარედ აგრონომი, უმაღლესი განათლების მქონე პირი. სრულიად უგულებელყოფილია ქალთა დაწინაურება ხელმძღვანელ სამუშაოზე კოლმეურნეობაში.

აქტივთან, მასასთან სუსტი კავშირი, საკუთარი ძალების შეუფასებლობა რაიონული საბჭოს საქმიანობის სხვა უბნებსაც დაღს ასვამს. ავიღოთ ვაჭრობა სოფლად. ვაჭრობის საუკეთესოდ მოწყობისათვის დიდი მუშაობის გაწევა შეუძლია ვაჭრობის მუდმივ კომისიას. მაგრამ საბჭო თავის საქმიანობაში არც ამ კომისიას იყენებს. გაჭრობის კომისია (თავმჯდომარე ვ. პეტრიაშვილი, წევრები ნ. ოსტატაშვილი, ძ. გათიკოევი) სრულიად არ მონაწილეობს საბჭოს მუშაობაში. მიმდინარე წლის 20 ივნისს რაისაბჭოს აღმასკომმა განიხილა სოფლად ვაჭრობის საკითხი, აღნიშნა, რომ ბევრი სასოფლო მაღაზია ვერ აკმაყოფილებს მომხმარებელთა გაზრდილ მოთხოვნილებებს. სავაჭრო ქსელში ლოკვიდირებული არ არის საზოგადოებრივი ქონების გაფლანგვა-დატაცების შემთხვევები. საკითხი ისე გაირჩა, რომ, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც არავის არ გახსენებია ვაჭრობის მუდმივი კომისია.

შინაარსიანი, სასარგებლო საქმიანობის ფართო შესაძლებლობა აქვს კეთილმოწყობის მუდმივ კომისიას. მაგრამ კომისიის წევრებს არავინ ასწავლის, თუ როგორ გამოიყენონ ეს შესაძლებლობა. მიმდინარე წლის 22 მარტს რაისაბჭოს სესიამ განიხილა აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილების მუშაობის საკითხი. სესიაზე აღინიშნა ყველასათვის დიდი ხნის ცნობილი ნაკლოვანებანი. კეთილმოწყობის მუდმივ კომისიას (დეპუტატები ზ. ძუკაევი, გ. ნადირაძე) სესიის გადაწყვეტილებიდან სწორი დასკვნები არ გაუკეთებია, იგი არ ფიქრობს მტკიცედ მოჰკიდოს ხელი საქმეს. შორს რომ არ წავიდეთ, უამრავი რამ არის გასაკეთებელი რაიონული ცენტრის კეთილმოსაწყობად. უკანასკნელი წლების განმავლობაში რაიონულ ცენტრს —ზნაურს ელექტროშუქი არა აქვს. შარშან ორჯერ დაირღვა ძაღინჰესის საექსპლოატაციოდ გადაცემის ვადა. რაიაღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილების გამგე ი. ბესსონოვი, იმის ნაცვლად, რომ ზომები მიიღოს ძაღინჰესის საექსპლოატაციოდ გადაცემისათვის, მშენებლობის გაჭიანურებაზე წუწუნებს. კეთილმოწყობის მუდმივი კომისია არ სწავლობს ამ მდგომარეობას, არ იჩენს პრინციპულობას.

ზნაურის რაიონული საბჭო ურიგოდ მუდმივი კომისიების უმოქმედობას, რითაც ხელიდან უშვებს მის წინაშე დასახული ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლის მძლავრ შესაძლებლობას. რაისაბჭოს აღმასკომის საქმიანობის დაბალი დონე ცნობილია სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომისათვის, მაგრამ იგი რაიონულ საბჭოს კონკრეტულ დახმარებას არ უწევს.

ვ. გელაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმში

პიონერთა ბანაკებში მუშაობის მდგომარეობის შესახებ

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა პიონერთა ბანაკების ზოგიერთი ხელმძღვანელის მოხსენება, პროფსაბჭოს კულტურისა და ფიზკულტურის განყოფილების თანამოხსენება და აღნიშნა, რომ საქართველოს მთელმა რიგმა პროფორგანიზაციებმა პიონერთა ბანაკებში შექმნეს აუცილებელი პირობები ბავშვთა ჯანსაღი და კულტურული დასვენებისათვის.

ამასთან ერთად პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ პროფკავშირთა ცალკეული რესპუბლიკური და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების მიერ ბავშვთა საზაფხულო გამაჯანსაღებელი მუშაობის ორგანიზაციისადმი არასერიოზული დამოკიდებულების გამო ზოგიერთი პიონერთა ბანაკი მოუმზადებელი შეხვდა ბავშვთა პირველ ნაკადს და მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებები აქვს.

სამედიცინო მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პიონერთა ბანაკი მახინჯაურში მოთავსებულია ადგილობრივი საშუალო სკოლის შენობაში. მიუხედავად იმისა, რომ შენობას რემონტი გაუკეთეს, საპირფარეშოები მოუწყობელი აღმოჩნდა, ხოლო სამზარეულო მოთავსებულია ნახევრად დანგრეულ შენობაში, სადაც უსუფთაობაა. ბანაკის შტატი დაკომპლექტებულია არასრულად.

ფოთის საწარმოს საქარხნო კომიტეტის პიონერთა ბანაკი ჩაქვში გაიხსნა სათანადო კომისიისაგან ნებართვის მიუღებლად. ჩაქვის რვაწლიანი სკოლის შენობაში, რომლის ფართობი 296 კვადრატული მეტრია, მოთავსებულია 104 ბავშვი და 16 თანამშრომელი, ოთახებში უსუფთაობა და დიდი სივიწროვეა. არა აქვთ ბავშვთა ნივთების შესანახავი ოთახი. პიონერთა ბანაკის მომსახურე კადრებს არ გაუვლიათ სათანადო წინასწარი მომზადება. ექიმის მოვალეობას ექიმის თანაშემწე ასრულებს, რომელმაც სათანადო სამედიცინო შემოწმების გაუვლელად მიიღო ბავშვები ბანაკში.

სავსებით მოუმზადებელი გაიხსნა კომუნალურ-საბინაო მშენებლობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პიონერთა ბანაკი ამა წლის 10 ივნისს კოჯორში. პირველ დღეს გამოცხადდა მხოლოდ 10 ბავშვი, ხოლო 12-14 ივნისს ჩავიდა ძირითადი კონტინგენტი 105 ბავშვის რაოდენობით, ნაცვლად 150 ბავშვისა. 14-დან 20 ივნისამდე ბანაკში არ იყო პედაგოგები და ერთი პიონერხელმძღვანელი. ორ პედაგოგს არ გაუვლია სემინარი, 11 მუშაკს არა აქვს ცნობა სამედიცინო შემოწმების შესახებ. ბანაკის მიღების აქტი ადგილზე არ აღმოჩნდა. სამზარეულოში არა აქვთ აუცილებელი ინვენტარი.

სავაჭრო ორგანიზაციების — აჭარავაჭრობისა და ცეკავშირის სისტემები სუსტად ამარაგებენ ხორცითა და ბოსტნეულით იმ პიონერთა ბანაკებს, რომლებიც აჭარაში და თბილისის გარეუბნის რაიონში მდებარეობენ.

თბილისის, ფოთის, ბათუმის, ჩოხატაურის, მცხეთის, გორისა და ხაშურის ცალკეული პოლიკლინიკები და ეპიდემიური სადგურები არღვევენ რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილ წესებს ბანაკებში მიმავალთათვის ცნობების მიცემის შესახებ.

პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა სამედიცინო მუშაკებისა და კომუნალურ-საბინაო მშენებლობის მუშათა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტების ფოთის საწარმოს საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარეებს დაავალა გადამჭრელი ზომები მიიღონ პიონერთა ბანაკების მუშაობაში არსებული ზემოაღნიშნული სერიოზული ნაკლოვანებების სასწრაფოდ აღმოფხვრისათვის. ამ მიზნით პრეზიდიუმმა მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიება დაუსახა აღნიშნულ პროფორგანიზაციებს.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და ცეკავშირის წინაშე დაისვა საკითხი პიონერთა ბანაკების ხორცით, ბოსტნეულითა და რძის პროდუქტებით შეუფერხებლად მომარაგების შესახებ.

რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წინაშე დაისვა საკითხი პასუხისგებაში მიცემულ იქნან ის პირები, რომლებიც არ ასრულებენ სამინისტროს მითითებას პიონერთა ბანაკებში ბავშვთა მიღებისა და ბავშვებისა და მუშაკებისათვის სათანადო ცნობების გაცემის შესახებ.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„ჩამორჩენა სწრაფად უნდა გამოვასწოროთ“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 7 ივნისის ნომერში დაბეჭდილი იყო კორესპონდენცია. წერილში აღნიშნული იყო, რომ მოსავლის აღებისათვის კასპის რაიონის კოლმეურნეობები არადამაკმაყოფილებლად ემზადებიან, თეძამის მტს-ში ცუდად არის დაყენებული პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა.

საქართველოს კ. პ. (ბ) კასპის რაიკომი გვატყობინებს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურდა. საკითხი განიხილა რაიკომის ბიურომ და თეძამის მტს-ის დირექტორს, საკავშირო კ. პ. (ბ) წევრს გ. არაქელოვს კომბაინებისა და სალეწი მანქანების რემონტის გაჭიანურებისათვის, რემონტის ხარისხზე კონტროლის დაუწესებლობისათვის გამოუცხადა საყვედური. სამთავისის მტს-ის დირექტორს კ. ჩეჩელაშვილს მითითება მიეცა.

რაიკომის ბიურომ დასახა ღონისძიებანი წერილში აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

„უღარღელი დამოკიდებულება საზოგადოებრივი მეურნეობისადმი“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 15 მაისის ნომერში დაბეჭდა კრიტიკული წერილი წალენჯიხის რაიონიდან. წერილში მხილებული იყო სოფელ სარინოს კოლმეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევის ფაქტები.

პარტიის წალენჯიხის რაიონული კომიტეტი გვატყობინებს, რომ ბიურომ განიხილა ეს წერილი და სოფელ სარინოს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. ნ. კვირკვიას გამოუცხადა სასტიკი საყვედური საარიცხვო ბარათში შეტანით, ხოლო სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ი. ორდიას და პარტორგანიზაციის მდივანს მ. მელიას — საყვედური. კოლმეურნეობის გამგეობამ ანგარიშსწორების საქმეში არევდარევისათვის მოანგარიშე ხ. ფიფია გაათავისუფლა სამუშაოდან.

გავაუმჯობესოთ მუშათა საყოფაცხოვრებო პირობები

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში სათანადოდ არ ზრუნავენ მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. კომბინატის ხელმძღვანელობამ არ შეასრულა კოლექტიური ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება. კომბინატში მოუწყობელია მუშათა სასადილო და ბუფეტი. ბუფეტში უსუფთაობაა, დამტვერიანებულია პროდუქტები, საკმაო რაოდენობით არა აქვთ ინვენტარი, მოწყობილი არ არის აგრეთვე ხელსაბანი. სასადილოში (გამგე ნ. დუგლაძე) გარდა იმისა, რომ ზოგჯერ დაბალხარისხოვან კერძებს ამზადებენ, სანიტარიის ელემენტარულ წესებსაც არ იცავენ. შემოწმებისას არც ერთ მზარეულს სანიტარული შემოწმების წიგნაკი არ აღმოაჩნდა. მზარეულ ბურდულს გაუფორმებლად ამუშავებენ. სასადილოში ზოგჯერ ამახინჯებენ ვაჭრობის წესებს. მებუფეტე ლ. კოპალეიშვილმა მომხმარებელ ფ. გრიგორევსკის ლიმონათი 1 მანეთისა და 71 კაპიკის ნაცვლად 2 მანეთად მიჰყიდა, ხოლო ი. ბერიძე პურის წონაში მოატყუა. ქოსურ მდგომარეობაშია კომბინატის სასურსათო საწყობი (გამგე შ. ანთაძე), სადაც ხორცსა და სხვა პროდუქტებს ბინძურ სათავსებში ინახავენ. საწყობში პროდუქტები უწესრიგოდ არის მიმოფანტული და დაუცველია.

კომბინატის სანატორიუმში, რომელშიც ბევრი მუშა-მოსამსახურე ისვენებს, სისტემატურად არ მარაგდება ისეთი აუცილებელი პროდუქტებით, როგორიც არის ბოსტნეული, რძე, კვერცხი.

სატრიკოტაჟო კომბინატში მუშათა საერთო საცხოვრებლების კეთილმოწყობით დაინტერესებული არ არიან. ვერ ითვისებენ მიმდინარე და კაპიტალური შეკეთების თანხებს. შუშებს ტანისამოსის შესანახი კარადები არა აქვთ. საერთო საცხოვრებელში მოწყობილი არ არის წითელი კუთხე. სუსტად წარმოებს კულტურულ-მასობრივი მუშაობა. კომბინატთან არსებული საფაბრიკო-საქარხნო სკოლის მოსწავლეთა საერთო საცხოვრებელი გადატვირთულია მობინადრეებით, უზრუნველყოფილი არ არის სკამებით, გახეხილებით. პირველი სართულის № 11,13 ოთახებში გაჯი ჩამოშლილია. რადიოგაყვანილობა წესრიგზე არ არის. კომბინატს მრავალი კომუნალური სახლი აქვს, სადაც მუშებისათვის შედარებით კარგი საყოფაცხოვრებო პირობებია, მაგრამ ეს არ ითქმის კოლექტივიზაციის ქუჩის № 5 სახლზე. ამ სახლის ეზოში წყალს ონკანთან ტალახი და გუბე დგას. სახლის მეორე სართულზე მობინადრე ნ. გუსიანკმა საერთო სარგებლობის დერეფანი დაავიწროვა, თავისთვის მოაწყო სათავსო. ამის გამო მობინადრეები საყვედურს გამოთქვამენ. ეს სახლმმართველ მ. დონდუასათვის რატომღაც შეუმჩნეველი დარჩა.

კომბინატში სუსტად იბრძვიან სიასუფთავის დაცვისათვის. შემოწმების დროს საგრეხი საამქროს წინ ნაგავი ეყარა, ელექტრომონტიორთა ოთახთან მინისა და თუნუქის ნაჭრების გროვა იდგა.

მოუწესრიგებელია აგრეთვე საპარიკმახეროს მუშაობა. კომბინატის ტერიტორიაზე მუშა-მოსამსახურეთა საჭიროებისათვის მოწყობილი იყო ფეხსაცმლის შემკეთებელი და ტანსაცმლის სამკერვალო სახელოსნოები, მაგრამ ისინი რატომღაც გააუქმეს. დირექცია არ ზრუნავს ცეცხლფარეშების და ღამის დარაჯის სპეცტანსაცმლის შეძენისათვის.

კომბინატის მუშა-მოსამსახურეებს თავიანთ განკარგულებაში აქვთ კეთილმოწყობილი კლუბი, რომელიც მომსახურებას უწევს აგრეთვე ლენინის რაიონის მრავალი საწარმოს მუშებს, მაგრამ საკლუბო მუშაობა არადამაკმაყოფილებელია. არ ეწყობა ლექციამოხსენებები საწარმოო საკითხებზე და სხვა აქ

წალენჯიხის რაიონში არღვევენ ჩაის ფოთლის კრეფის აგროწესებს

პარტიის წალენჯიხის რაიკომმა წელს არაერთხელ განიხილა ჩაის პლანტაციების დამუშავებისა და ფოთლის კრეფის მიმდინარეობის საკითხები, მაგრამ დასახულ ღონისძიებათა განსახორციელებლად ქმედითი ზომები არ მიუღია. ამის გამო. პლანტაციები ბევრგან ეკალ-ბარდით არის დაფარული, არ სრულდება აზოტოვანი სასუქების შეტანის სამუშაოები, ჩამორჩენაა ფოთლის დამზადებაშიც.

ჩაის კრეფის ისედაც დაბალი ტემპი უკანასკნელ ხანებში უფრო შეანელეს. ჩაის მეორე ფაბრიკაში, რომელიც რაიონის კოლმეურნეობათა მეტ ნაწილს ემსახურება, 40-45 ტონის ნაცვლად დღეში 9-10 ტონა ფოთოლს იღებენ. მცირეოდენი დატვირთვით მუშაობს ჩაის პირველი ფაბრიკაც.

იმის შედეგად, რომ უხეშად არღვევენ ჩაის კრეფის წესებს, მიმართავენ პლანტაციების „დასვენების“ დაგვიანებულ პრაქტიკას, წალენჯიხის ლენინის სახელობის კოლმეურნეობიდან ფაბრიკას ძირითადად მხოლოდ მეორე ხარისხის ნედლეულს აბარებენ. ასეთივე მდგომარეობაა რაიონის ბევრ სხვა კოლმეურნეობაში. მაგალითად, საჩინოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში მოკრეფილი ფოთლის 44,9 პროცენტი მეორე ხარისხისაა. ასეთსავე ფოთოლს დიდი რაოდენობით კრეფენ აგრეთვე ჯვარის, ობუჯისა და ჯგალის კოლმეურნეობებში. სოფელ ჯვარში უკანასკნელ დღეებში კრეფის წესებს ისე უხეშად არღვევენ, რომ მეორე ხარისხის ფოთოლი 90 პროცენტს აჭარბებს.

არ შეიძლება ითქვას, რომ ჩაის ფაბრიკები კრეფის წესების დარღვევის წინააღმდეგ ზომებს არ იღებდნენ. მეორე ფაბრიკის დირექტორმა ლ. გვილიამ ამ საკითხზე ბევრჯერ მიმართა წერილობითი მოხსენებით საქართველოს კ. პ. (ბ) წალენჯიხის რაიკომს და რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილებას. სიგნალები იყო ჩაის პირველი ფაბრიკიდანაც, მაგრამ ამას ჯერჯერობით შედეგი არ მოჰყოლია. ჩაის კრეფის წესების დასაცავად არაფერს აკეთებენ უბნის აგრონომებიც.

ჩაის კრეფაში კოლმეურნეობათა ჩამორჩენისა და ნედლეულის ხარისხის გაუარესების მთავარი მიზეზია შრომის მოუწესრიგებლობა. წალენჯიხის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში სამუშაოზე მეჩაიეთა მხოლოდ 40-45 პროცენტი გამოდის და კრეფის ნორმებს ვერც ისინი ასრულებენ. ეს გამონაკლისი არ არის.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ ბერიას სახელობის წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობაშიც. მეორე ხარისხის ფოთოლი ბოლო ხანებში აქაც საგრძნობი რაოდენობით არის.

ძლიერ გაჭიანურდა ობუჯისა და ჯგალის კოლმეურნეობების ჩაის მიმღებ პუნქტებამდე მისასვლელი გზების შეკეთება, რის გამო მანქანები ხშირად ზიანდება და ფოთლის გადაზიდვა ფერხდება.

წალენჯიხის რაიონში წელს გეგმით 4.530 ტონა ჩაი უნდა მოიკრიფოს. ამ დავალების განაღდებისათვის საჭიროა ჰექტარზე საშუალოდ მოიყვანონ 1.656 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩაის კრეფის გეგმის წარმატებით შესრულება არ არის ძნელი საქმე. რაიონში ბევრია ისეთი ბრიგადა და რგოლი, სადაც თვითეულ ჰექტარზე უკვე მოკრეფილი აქვთ 2.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა სასწრაფო ზომები უნდა მიიღონ ჩამორჩენის გამოსასწორებლად, კონკრეტულად უხელმძღვანელონ ჩაის კრეფას და აღკვეთონ უდარდელობა ჩაის ფოთლის მოსავლიანობის გადიდების საქმეში.

ვ. მესხია,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

რაჭიმ ჩამორჩა თივის აღებაში

გასულ წელს საგარეჯოელმა კოლმეურნეებმა ვერ უზრუნველყვეს საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნა. ამან უარყოფითად იმოქმედა პროდუქტიულობის გეგმების შესრულებაზე.

შარშანდელი შეცდომებიდან ბევრგან საჭირო დასკვნებს არ აკეთებენ. წელს ბუნებრივი ბალახის საუკეთესო მოსავალია. თივის აღებისა და საკვების დასილოსების გეგმების დროულად შესრულება კი კვლავ საფრთხეშია. წელს კოლმეურნეობებმა ბუნებრივი თივა გეგმით 2.800 ჰექტარზე უნდა აიღონ, მაგრამ ეს დავალება მხოლოდ 39,9 პროცენტით არის შესრულებული.

დიდი ჩამორჩენაა აგრეთვე ნათესი ბალახების აღებაში.

თივის აღებასა და საკვების დასილოსებაში ჩამორჩენა უმთავრესად იმით არის გამოწვეული, რომ კოლმეურნეობებში მოუწესრიგებელია შრომა, სრული დატვირთვით არ იყენებენ მანქანებს. მაგალითად, საგარეჯოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში თივის აღების დაწყებიდან კარგა ხნის მანძილზე მთიბავთა ბრიგადაში გამოყოფილი 30 კაციდან მხოლოდ 7 მუშაობდა. ბრიგადა მომარაგებული არ იყო საჭირო ხელსაწყოებით.

სოფელ ნინოწმინდის კოლმეურნეობას ივრის მტს-მა დროზე ვერ გამოუყო დამატებითი ტრაქტორი. მოთიბული ბალახი დიდხანს რჩებოდა მზეზე და კარგავდა ხარისხს.

საგარეჯოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში, აგრეთვე კოლმეურნეობა „ახალ შრომაში“ მთელი სეზონზეულობით არ მუშაობენ სასილოსე ორმობის მომზადებაზე. აქ ორმოების უმეტესობა მოუპირკეთებელია.

პარტიის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი უკეთ უნდა დაეხმარონ კოლმეურნეობებს თივის აღებასა და სილოსის დამზადებაში ჩამორჩენის გამოსწორებისათვის.

გ. გელაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საგანგებო სესია

1 ივლისის საღამოს სხდომა

ბერლინი, 2 ივლისი. (საკდესი). გუშინ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საგანგებო სესიის საღამოს სხდომაზე, რომელსაც დოქტორი ფრიდრიხი (გერმანია) თავმჯდომარეობდა, დღის წესრიგის პირველ პუნქტზე „გერმანიისა და იაპონიის საკითხების მშვიდობიანი გადაჭრა“ შესავალი სიტყვა წარმოთქვა მშვიდობის დაცვის ინგლისის კომიტეტის აღმასკომის თავმჯდომარემ გორდონ შაფერმა.

აღნიშნა რა, რომ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საგანგებო სესია მუშაობას იწყებს გერმანიისა და იაპონიის პრობლემების განხილვით, შაფერმა თქვა:

„თუ ჩვენ მოვიგეთ ბრძოლა თავისუფალი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული იაპონიისათვის, გაკაფულ იქნება მშვიდობის გზა აზიაში, თუ ჩვენ შევძელით და ბოლო მოვუღეთ გერმანიის გათიშვას, თუ ჩვენ შევძელით გერმანიის მიწაწყლიდან უცხოეთის ჯარების გაყვანის უზრუნველყოფა და გერმანელ ხალხს მივეცით შესაძლებლობა შეინარჩუნოს თავისი დამოუკიდებლობა და მშვიდობა, ჩვენ გავფანტავთ ომის ღრუბლებს ევროპაში. ჩვენ არ შეგვიძლია განვიხილოთ იაპონიის საკითხი, თუ არ განვიხილეთ გერმანიის საკითხი, ან პირიქით, რადგან ორივე პრობლემა მჭიდროდ დაკავშირებულია ერთმანეთთან. ჩვენ უნდა მივაღწიოთ მშვიდობას როგორც აზიაში, ისე ევროპაში. ჩვენ თავისუფლება უნდა დავუბრუნოთ როგორც იაპონიას, ისე გერმანიას“.

შაფერმა შემდეგ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის მთავრობა და მისი მოკავშირენი წელს გამალებით ახორციელებენ ნაცისტური არმიისა და სამხედრო-საჰაერო ძალების აღორძინების გეგმებს. ამ არმიის შექმნა, დასძინა მან, ნიშნავს სამოქალაქო ომისა და გამანადგურებელი მსოფლიო ომის დაწყებას, თუ ჩვენ ხალხთა უკმაყოფილება ამ დანაშაულებრივი პოლიტიკით არ გადავიცეთ ერთიანად, მძლავრ ძალად, რომელიც ხელს შეუწყობს მშვიდობის საქმეს.

მომხსენებელმა დაწვრილებით ილაპარაკა იმაზე, თუ დასავლეთ გერმანიაში როგორ აშკარად აყენებენ ხელისუფლების სათავეში იმავე ადამიანებს, რომლებიც ქმნიდნენ ჰიტლერულ გერმანიას, როგორ იყენებენ ისინი თავიანთ გეგმებში ჰიტლერელ გენერლებს, როგორ პარაშუტენ რურში ის გერმანელი მაგნატები, რომლებიც ჰიტლერს აფინანსებდნენ.

„მშვიდობის მეგობრებო, რომლებიც ხქ ხართ მთელ მსოფლიოში იმყოფებით! — თქვა შაფერმა. — ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია ჩუმად და უმოქმედონი ვიყოთ ასეთი საშინელი საფრთხის წინაშე. საქმე ეხება ომს ან მშვიდობას, სიცოცხლეს ან სიკვდილს“.

ახალი ნაცისტური არმიის შექმნის საფრთხე ჩვენთვის უნდა იქნეს სტიმული მთელი ძალების მობილიზაციისა, რომლებიც სიგნალს ელიან, რომ მოქმედება დაიწყონ.

დასასრულ შაფერმა იმედი გამოთქვა, რომ ახლანდელი სესია იტყვის თავის აზრს ერთიან გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საბჭოთა პროექტის შესახებ, განიხილავს საკითხს, თუ რა გზით შეიძლება გაძლიერებულ იქნას გერმანიის საკითხზე ოთხი სახელმწიფოს კონფერენციის მოწვევის მოთხოვნა.

შემდეგ გამოსულმა დასავლეთ გერმანიის თვალსაჩინო პატრიოტმა ქ-ნმა ჰერტ-მენგემ სესიაზე ილაპარაკა დასავლეთ გერმანიაში რემილიტარიზაციისა და აგრესიული გერმანული იმპერიალიზმის აღდგენის პოლიტიკაზე, რასაც ომის ამერიკელი გამჩაღებლები და მათი ბონელი ხელშემწყობნი ახორციელებენ.

ჰერტ-მენგემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყველა პატიოსან გერმანელს კარგად ესმის მნიშვნელობა საბჭოთა მთავრობის წინადადებისა გერმანიის საკითხზე, რომლებიც შეესაბამება როგორც გერმანელი ხალხის ეროვნულ ინტერესებს, ისე მისი მეზობელი ხალხების ეროვნულ ინტერესებს.

შემდეგ სიტყვა ეძლევა საფრანგეთის მშვიდობის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეს ანატ ბულეს.

საფრანგეთის დელეგატის სიტყვის მეტი ნაწილი მიეძღვნა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა იმ მთავრობების დიპლომატიური პრაქტიკის მხილებას, რომლებიც ამაოდ ცდილობენ სხვადასხვა ხრიკითა და ფანდით თავიანთი აგრესიულ მოქმედებას საერთაშორისო-უფლებრივი საფუძველი მოუძებნონ.

როგორც ქ-ნმა ფორჰამერმა (დანია) თავის სიტყვაში აღნიშნა, გერმანიის მეზობელი ქვეყნები დაინტერესებული არიან, რომ აღარ აღორძინდეს გერმანიის აგრესიული მილიტარიზმი.

დასასრულ სხდომაზე გამოვიდა გერმანელი მწერალი სტეფან ჰერმლინი. ჰერმლინმა აღნიშნა, რომ ბონის მთავრობას შემთხვევით როდი უარუყვია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ყველა წინადადება გერმანიის საკითხის მშვიდობიანი და სამართლიანი გადაჭრის შესახებ. „ეს,—აღნიშნა მან,— იმ პოლიტიკის გამოხატულება იყო, რომელიც ამთავითვე მიმართული იყო ერთი მიზნისაკენ, რაც დღეს გამოიხატება საერთო ხელშეკრულების ხელმოწერით და აღშფოთებულ ხალხთა თვალწინ ახალი ვერმახტის შექმნით“.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვილჰელმ პიკმა 1 მაისს განაცხადა, რომ თუ არ მოხერხდა „საერთო ხელშეკრულების“ ხელმოწერის თავიდან აშორება, მაშინ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში წარმოიშვება შეიარაღებული თავდაცვის შექმნის საჭიროება.

სტეფან ჰერმლინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყოველმა შეგნებულმა მოქალაქემ იცის, რა უნდა დაიცვას: იგი დაიცავს თავისი რესპუბლიკის დემოკრატიულ მიღწევებს.

ამით დამთავრდა სხდომა.

2 ივლისის დღის სხდომა

ბერლინი, 2 ივლისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს დილის სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა რიკარდო ლომბარდი (იტალია), პირველი გამოვიდა ავსტრიელი ჟურნალისტი ბრუნო ფრაი.

ჩვენ, ავსტრიელები, განაცხადა მან, ორმაგად ვართ დაინტერესებულნი გერმანიის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრით. ჩვენ მწარე გამოცდილებით ვიცით, რომ, სანამ გერმანიაში მიმდინარეობს მილიტარიზმისა და იმპერიალიზმის აღორძინება, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას საფრთხე მოელის. ისინი, ვინც დღეს პასუხისმგებელია დასავლეთ გერმანიის მილიტარიზაციისათვის, აბორიგენებენ აგრეთვე დასავლეთ ავსტრიის მილიტარიზაციას. დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის მსვლელობაში წარმოებს იმ ძალების აღორძინება, რომლებმაც გერმანელი და ავსტრიელი ხალხები ორჯერ ჩააგდეს მსოფლიო ომის უფსკრულში. დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ ბრძოლით ჩვენ ვიბრძვით ჩვენი ქვეყნის უშიშროებისა და დამოუკიდებლობისათვის.

შემდეგმა ორატორმა — ბელგიის წარმომადგენელმა, ბელგიის პარლამენტის წევრმა იზაბელა ბლუმმა შეკრებილთ მოაგონა, რომ ერთ წელზე ცოტა მეტი ხნის წინათ, ბერლინში, იგი ლაპარაკობდა იმაზე, თუ რა სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს მშვიდობის საქმისათვის ევროპოწოდებული ევროპის საბჭო.

მდგომარეობის სერიოზულობა ის არის, თქვა მან, რომ, მიუხედავად ყველა შინაგანი უთანხმოებისა, ევროპის საბჭო თავის დიქტატს აბეჭდავს თავს ევროპის ქვეყნების სხვადასხვა მთავრობას, რადგან მას მხარს უჭერს მთელი პოლიტიკური ორკესტრის დირიორი — ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა.

ბლუმი შეეხო მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის ამოცანებს და განაცხადა, რომ საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, მოვიმხროთ ევროპის პარლამენტებისა და მთავრობების წევრები და მივაღწიოთ იმას, რომ პარლამენტებმა უარი თქვან ისეთი ეროვნული ორგანოების შექმნის გეგმების რატიფიკაციაზე, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების დიქტატს დაემორჩილებიან.

ბლუმმა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნია იმის საჭიროება, რომ გამოინახოს ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან უფრო ფართო ურთიერთობის დამყარების გზები.

იტალიის უმაღლესი საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო პალატის თავმჯდომარემ სავერიო ბრიგანტემ თავისი გამოსვლა მიუძღვნა ეგრეთწოდებული „ევროპის არმიის“ შექმნის იურიდიულ მხარეს და ცხადყო, რომ მისი ჩამოყალიბება ეწინააღმდეგება არა მარტო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ფორმასა და შინაარსს, არამედ საერთაშორისო სამართლის ძირითად დებულებებსაც.

შემდეგ გამოვიდა პოლონელი მწერალი ლეონ კრუჩკოვსკი.

ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბონის სეპარატული ხელშეკრულების ხელმოწერა პოლონეთში შეაფასეს როგორც დედამიწის ამ ნაწილში მშვიდობისათვის შექმნილი უშუალო საფრთხის აქტი და განსაკუთრებით როგორც მტრული აქტი პოლონელი ხალხის მიმართ. პოლონეთის საზოგადოებრიობის თვალში ბონის ხელშეკრულება ნიშნავს, უწინარეს ყოვლისა აგრესიული ომის მომზადების გზაზე გადადგმულ გარკვეულ ნაბიჯს, რომელიც, კერძოდ, მიმართულია პოლონეთის წინააღმდეგ, გერმანიის გათიშვის ცალმხრივ განმტკიცებას და, ბოლოს, გერმანელი ხალხის დამონებულებლობა და [illegible] თანიანობის უფლების [illegible]

გერმანიის [illegible] განაგრძო კრუჩკოვსკიმ, ჩვენ ეხედავთ წინადადებებში, რომლებსაც შეიცავს საბჭოთა მთავრობის ცნობილი ნოტა. პოლონელი ხალხი დარწმუნებულია, რომ ეს წინადადებანი შეიცავენ ახალი აგრესიის განუმორებლობის გარანტიებს და ამავე დროს უზრუნველყოფენ გერმანელი ხალხის ყველა ძირითად უფლებას.

ქ-ნმა ელინ აპელმა (ღანია) თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ დიდი თანაგრძნობით ეპყრობა საბჭოთა კავშირის წინადადებებს გერმანიის საკითხზე ოთხ დიდ სახელმწიფოს შორის მოლაპარაკების განახლების შესახებ. ეს წინადადებანი სავსებით ბუნებრივი და კანონზომიერია, აცხადებს იგი, და მე დარწმუნებული ვარ, რომ ყოველ ქვეყანაში ამ წინადადებებს სულ უფრო მეტად უჭერენ მხარს. მე აგრეთვე სავსებით ბუნებრივად მიმაჩნია, რომ ბონის შეთანხმებანი არ შეიძლება დამტკიცდეს და არც უნდა დამტკიცდეს მანამდე, სანამ ეს წინადადებანი განხილული არ იქნება.

აპელი მოითხოვს ნეიტრალურ, განიარაღებულ გერმანიას და ილაშქრებს გერმანიის ეროვნული არმიის შექმნის წინააღმდეგ.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ცნობილმა გერმანელმა მწერალმა არნოლდ ცვაიგმა. მან აღნიშნა, რომ გერმანელ ხალხს არაფერი ისე მგზნებარედ არა სურს, როგორც ეროვნული კრების სრულიად გერმანიის არჩევნები და სახელმწიფოს ისეთი ფორმის შექმნა, რომელიც მისთვის უზრუნველყოფს მშვიდობას და დაიცავს მას ახალი ომისაგან უცხო ინტერესებისათვის.

პროფესორმა ზახარიასკემ (რუმინეთის სახალხო რესპუბლიკა) თავისი სიტყვა მიუძღვნა გერმანიასა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებს შორის ეკონომიური ურთიერთობის პრობლემას.

ამით დამთავრდა სესიის დღის სხდომა.

2 ივლისის საღამოს სხდომა

ბერლინი, 3 ივლისი. (საკდესი). 2 ივლისის საღამოს სხდომაზე, რომელსაც პროფესორი გო მო-ჟო (ჩინეთი) თავმჯდომარეობდა, გრძელდებოდა კამათი.

ქ-ნმა შარლოტა ფლაიშმანმა (დასავლეთი გერმანია) სესიის მონაწილეებს მისალმება გადასცა ყოფილ რაიხსკანცლერ დოქტორ ჰოზეფ ვირტის, ვილჰელმ ელფესისა და ქ-ნ ფონ კარლორფოჰაიმისაგან (გერმანელთა ურთიერთგაგებისა და სამართლიანი საზავო ხელშეკრულების კონგრესის წევრები), რომლებიც სესიაზე ვერ ჩამოვიდნენ იმის გამო, რომ დასავლეთ გერმანიის ხელისუფლებმა არ მისცეს საზონათშორისო პასპორტები.

შარლოტა ფლაიშმანმა აღნიშნა, რომ გერმანელთა ურთიერთგაგებისა და სამართლიანი საზავო ხელშეკრულების კონგრესმა ამ უკანასკნელ დღეებში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია გერმანიის გაერთიანებისათვის, როგორც ევროპის მშვიდობის გარანტიისათვის, საბრძოლველად დასავლეთ გერმანიის მთელი ძალების გაერთიანების საქმეში.

თავისი სიტყვის დასასრულს ორატორმა მოითხოვა შეიქმნას ერთიანი და ძლიერი გერმანია, როგორც გერმანიის დემოკრატიული წყობილების გარანტია და ევროპის მშვიდობის გარანტია.

გერმანელმა მწერალმა ანა ზეგერსმა, მოიყვანა რა ბონელი რევანშისტების აზრები დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის შესახებ, განაცხადა, რომ ასეთი საფრთხის გამო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშვიდობისმოყვარე ხალხებმა ეს [illegible] ... ეროვნული [illegible] ... ეროვნული [illegible] ... ეროვნული

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საგანგებო სესია

(დასასრული)

რათა მან განიხილოს შემდეგი საკითხები: გერმანელი ხალხისათვის იმის შესაძლებლობის მიცემა, რომ მოაწყოს სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნები და შექმნას სრულიად გერმანიის მთავრობა; გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების რაც შეიძლება მალე დადება და მთელი საოკუპაციო ჯარების გაყვანა მისი ტერიტორიიდან.

პროფესორმა გრომადკამ (ჩეხოსლოვაკია) აღნიშნა, თუ რა დიდი გარდატეხა მოხდა ჩეხოსლოვაკიისა და გერმანიის ხალხთა ურთიერთობაში.

კამაში გამოვიდნენ ავრეთვე ვალტერ დიდი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრი), ფელიქს ივერსენი (ფინეთი, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრი), მანესი (საფრანგეთი, ფაშიზმის მსხვერპლთა და ტყვეთა წინააღმდეგობის მებრძოლთა საერთაშორისო ასოციაციის თავმჯდომარე), ტაპერი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, გლეხი), ვიანე მელტი (ფინეთი, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრი).

3 ივლისის დიდის სხდომა

ბერლინი, 3 ივლისი. (საკდესის სპეც. კორ.). მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საგანგებო სესიის დღევანდელ დილის სხდომის თავმჯდომარეობდა გაბრიელ დ,არბუსიე (ბაკი აფრიკა).

პირველი გამოვიდა დესმონდ ბაკლი (სამხრეთ აფრიკის კავშირი). ბაკლმა სესიას მოაგონა, რომ წარსულში სამხრეთ აფრიკის კავშირის მმართველი წრეები ცდილობდნენ ევლოთ ჰიტლერის კვალზე, და მალანმა, რომელსაც ამჟამად სამხრეთ აფრიკის კავშირის მთავრობის მეთაურის პოსტი უკავია, განაცხადა, რომ მისი პარტია მზად არის შექმნას რესპუბლიკა ჰიტლერული გერმანიის ნიმუშის მიხედვით.

ბაკლმა ილაპარაკა სამხრეთ აფრიკის კავშირის რეაქციულ რეჟიმზე, რასობრივი დისკრიმინაციისა და ეროვნული ჩაგვრის პოლიტიკაზე, იმ წინააღმდეგობაზე, რასაც მალანს სამხრეთ აფრიკის მოსახლეობა უწევს.

ხოსე ლუის მასერამ (ურუგვაი) თავისი სიტყვა მიუძღვნა ლათინური ამერიკაში შექმნილ მდგომარეობას და ლათინური ამერიკის ხალხების ბრძოლას მშვიდობისათვის, ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ. ლათინური ამერიკის მილიონობით მეცხოვრენი, — თქვა მასერამ, — დიდი ყურადღებით ადევნებს თვალყურს იმას, რაც ევროპასა და აზიაში ხდება. ლათინური ამერიკის მოსახლეობის 10 მილიონი ხელმოწერა, რომელიც შეგროვებული იქნა ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ მიმართვაზე, მოწმობს ჩვენს მხურვალე მისწრაფებას ხელი შეეწყოთ მშვიდობის საქმის წარმატებას.

ანექკა გოდინოვა-სპურნამ (ჩეხოსლოვაკია) ილაპარაკა გერმანიის პრობლემასა და მშვიდობის საქმისათვის მის მნიშვნელობაზე. ჩეხოსლოვაკიის მშრომელები, თქვა მან, დიდი სიმპათიით აღევნებენ თვალყურს გერმანელი ხალხის ბრძოლას თავისი სამშობლოს ერთიანობისა და დამოუკიდებლობისათვის.

გერმანიის საკითხის შესახებ მოხსენების გამო გამართულ კამათში გამოვიდა ავრეთვე ჰაალანდი (ნორვეგია), რომლის გამოსვლითაც დამთავრდა კამათი გერმანიის საკითხზე.

თავმჯდომარე დ,არბუსიემ გამოაცხადა, რომ სესია გადადის იაპონიის საკითხის განხილვაზე. სიტყვა ეძლევა კაძუო კავამურას (იაპონია).

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, ამბობს კავამურა, რომ მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის მებრძოლებმა იცოდნენ ის ამბები, რომლებიც იაპონიაში ხდება მას შემდეგ, რაც ძალაში შევიდა სეპარატული საზავო ხელშეკრულება და იაპონია-ამერიკის „უშიშროების პაქტი“. უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს იაპონელი მუშების ბრძოლა ამერიკელი ოკუპანტებისა და იოსიდას მთავრობის წინააღმდეგ, რომლებიც აგრესიულ ომს ამზადებენ აზიაში. მუშები სამარცხვინო ბოძზე აკრავენ მათ, როგორც ომის გამჩაღებლებს და როგორც ფაშისტებს. ეს ხელს უწყობს იაპონელი ხალხისაგან ამერიკელი ოკუპანტებისა და მთავრობის სწრაფ იზოლაციას, რაზმავს იაპონელ ხალხს მშვიდობისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად. მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ მუშებმა ოთხი საყოველთაო გაფიცვა მოაწყეს ფაშიზმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად და სამოქალაქო თავისუფლებათა დასაცავად. ამერიკელმა ოკუპანტებმა და იოსიდას მთავრობამ, რომლებმაც მუშების წინააღმდეგ გამოიყენეს შეიარაღებული პოლიცია და ჯარები, სასურველ შედეგებს ვერ მიაღწიეს.

მეორეც, განაგრძო ორატორმა, უნდა აღინიშნოს, რომ მშვიდობისა და დამოუკიდებლობისათვის დიდი მოძრაობა იაპონელი ხალხის სხვადასხვა ფენაში მუშათა კლასის ხელმძღვანელობით ვითარდება. ხელახლა შეიარაღებისა და ომის პოლიტიკა, რასაც ამერიკელი ოკუპანტები და იოსიდას მთავრობა ახორციელებენ, განწირულია ჩასაშლელად, რამდენადაც იგი ეწინააღმდეგება იაპონელი ხალხის ძირითად ინტერესებს. იაპონიის ხელახლა შეიარაღება ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ ექსპანსიასთან ერთად კატასტროფულ გავლენას ახდენს იაპონიის ეკონომიკაზე.

კაძუო კავამურა ლაპარაკობს იაპონელი ხალხის ყველა ფენის წინააღმდეგობაზე არმიაში გაწვევისადმი, კონსტიტუციური თავისუფლებებისათვის, იაპონიის ეკონომიკის გაჯანსაღებისათვის ბრძოლაზე.

შემდეგ კავამურა ლაპარაკობს იმაზე, რომ ხალხო ჩინეთის შექმნის დიდი სიმპათიით შეხვდა იაპონელი ხალხი, რომელიც ამ მოვლენას განიხილავს როგორც ძვირფას ისტორიულ გაკვეთილს ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ინტერნაციონალიზმის დიდი სულისკვეთება, რაც ჩინელმა ხალხმა გამოიჩინა, როცა თავისი საუკეთესო შვილები კორეელი ხალხის დასახმარებლად და აზიაში მშვიდობის დასაცავად გაგზავნა, აღფრთოვანებს იაპონელ ხალხს.

კავამურამ ხაზგასმით აღნიშნა იაპონიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მშვიდობიანი კავშირი მთელი მსოფლიოს მშვიდობის მომხრეთა მოძრაობისთან. საბჭოთა მთავრობის მეთაურის ი. ბ. სტალინის საიუბილეო მიმართვამ, თქვა მან, უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია იაპონელ ხალხში და ნათლად დასახა გზა, რომლითაც უნდა ვიაროთ. იაპონელი ხალხი ი. ბ. სტალინის მიმართვას განიხილავს როგორც იმედის სხივს.

კავამურამ იმედი გამოთქვა, რომ მშვიდობის მსოფლიო საბჭო ყოველ შესაძლებელ დახმარებას გაუწევს კორეისა და იაპონიის პრობლემების ისე, რომ ეს ხელს ვერ გადაჭრას, რათა აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების მშვიდობის დაცვის მომავალმა კონგრესმა ამ დახმარებაზე დაყრდნობით შეძლოს შექმნას მშვიდობისათვის ბრძოლაში აზიის ყველა ხალხის სოლიდარობის ქვეკუთხედი.

ჩინელმა დელეგატმა დოქტორმა მეი ეუ-აომ თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ მშვიდობის მომხრეთა ღონისძიებების საწინააღმდეგოდ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ყოველგვარ საშუალებას ხმარობს იაპონიასა და გერმანიაში მილიტარიზმის ასაღორძინებლად, რათა ეს ქვეყნები მთავარ იარაღად გამოიყენოს ახალი მსოფლიო ომის გასაჩაღებლად.

მეი ეუ-აომ აღნიშნა მშვიდობისათვის შექმნილი საფრთხე, რომელიც იაპონიის რემილიტარიზაციის ამერიკული პოლიტიკიდან მომდინარეობს, და იმედი გამოთქვა, რომ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საგანგებო სესია დიდ ყურადღებას მიაქცევს ამ მნიშვნელოვან პრობლემას.

უ ლამ (ბირმა) შეკრებილთ უამბო, თუ რა ტანჯვა გადაიტანა ბირმელმა ხალხმა იაპონიის ოკუპაციის დროს მეორე მსოფლიო ომის წლებში, და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მშვიდობისმოყვარე ბირმელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი იბრძოლონ იაპონიის მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ.

სურჯონეგორომ (ინდონეზია) დაწვრილებით ილაპარაკა ამერიკელი, პოლანდიელი და ინგლისელი იმპერიალისტების ცდაზე დაიმორჩილონ ინდონეზია ადგილობრივი ლიდერების დახმარებით, რათა ეს ქვეყანა გადააქციონ სამხედრო ბაზად და სტრატეგიული ნედლეულის წყაროდ. მან აღნიშნა, რომ იმპერიალისტთა ჩარევა ინდონეზიის საშინაო საქმეებში იწვევს ინდონეზიელი ხალხის ცხოვრების დონის უმაგალითო დაქვეითებას, სიკვდილიანობის გადიდებას, შიმშილსა და სიღატაკეს.

ჯესი სტრიტმა (ავსტრალია) კონკრეტული მაგალითებით ცხადყო, თუ როგორ გამოთქვამენ აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების ხალხები თავიანთ აღშფოთებას შორეულ აღმოსავლეთში ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული პოლიტიკის გამო, როგორ იბრძვიან ისინი იმისათვის, რომ ნორმალური თანამშრომლობა დამყარონ ყველა ქვეყანასთან, მათ შორის იაპონიასთანაც თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთხელსაყრელობის საფუძველზე.

იაპონიის საკითხზე კამათში დღეს გამოვიდნენ აგრეთვე ვალვედე (კოსტა-რიკა), ჭ-ნი ლაფუენტე (ჩილი), მულკ რაჯ ანანდი (ინდოეთი), მანუელ კრუსი (ფილიპინები), მონტეგიუ (ინგლისი). ამით დამთავრდა კამათი დღის წესრიგის პირველ პუნქტზე.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის 31-ე წლისთავის დღესასწაული

პეკინი, 3 ივლისი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, ჩინეთის კომუნისტური პარტიის დაარსების 31-ე წლისთავი მთელ ჩინეთში აღინიშნა მიტინგებით, საწარმოო შეჯიბრებით და სპეციალური სიუბილეო სტატიებით პრესაში.

მუკდენში გამართულ ხალხმრავალ მიტინგზე ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის სახალხო მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ ლინ ფინმა განაცხადა: „ჩინეთის კომუნისტური პარტია რაზმავს მასებს და გამარჯვების გზით მიჰყავს ისინი არა მარტო რევოლუციურ ბრძოლაში, არამედ აგრეთვე ეკონომიური მშენებლობის საქმეში“. მან მოუწოდა კომუნისტური პარტიის ყველა წევრს, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში მუშაობს, დაეუფლოს საწარმოს ხელმძღვანელობის ხელოვნებას და შეადგინოს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებების და მაო ძე-დუნის ნაშრომთა შესწავლის გეგმა, რათა წარმატებით უხელმძღვანელოს ფართო ეკონომიურ მშენებლობას.

ანალოგიური მოწოდებანი განიხილეს იმ სიიუბილეო მიტინგების მონაწილეებმა, რომლებიც გაიმართა შანხაიში, ნანკინში, ხანკოუში, კანტონში, პეკინში, ტიანძინსა და ჩინეთის სხვა დიდ ქალაქებში.

ნანკინში გამართულ მიტინგზე გამოვიდნენ უპარტიო დემოკრატი მოღვაწენი და მათ შორის მეცნიერები, სახალხო განათლების მუშაკები, საქმიანი წრეების წარმომადგენლები, მრეწველები და რელიგიის მოღვაწეები, რომლებმაც განაცხადეს, რომ მტკიცედ უჭერენ მხარს მაო ძე-დუნსა და ჩინეთის კომუნისტურ პარტიას.

სიანში ჩინეთის დემოკრატიული ლიგის წარმომადგენელმა, რომელიც გამოვიდა ჩრდილო-დასავლეთ ჩინეთის ყველა დემოკრატიული პარტიის სახელით, განაცხადა, რომ ამ პარტიების წევრები კომუნისტური პარტიის წევრებისაგან ისწავლიან, როგორ უნდა იბრძოლონ და დაძლიონ სიძნელეები. ისინი კიდევ უფრო განამტკიცებენ და გაფართოებენ დემოკრატიულ ერთიან ფრონტს, კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან თავმჯდომარე მაო ძე-დუნის გარშემო.

დუნაის კომისიის მეექვსე სესიის შესახებ

გალაცი, 3 ივლისი. (საკდესი). გალაცში ამა წლის 23 ივნისიდან 1 ივლისამდე მიმდინარეობდა დუნაის კომისიის მეექვსე სესიის სხდომები. სესიამ განიხილა მოხსენებანი მდინარე დუნაის სახომალდო ფარვატერის მდგომარეობის, დუნაიზე ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურისა და ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების კოორდინაციის შესახებ და სხვა საკითხები.

სესიამ ყველა განხილულ საკითხზე მიიღო სათანადო გადაწყვეტილებანი.

დუნაის კომისიის შემდეგი, მეშვიდე სესია გაიმართება გალაცში ამა წლის დეკემბერში.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 3 ივლისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 3 ივლისს გამოაქვეყნა ცნობა:

დღეს ჩვენი ჯარების შენაერთები ფრონტის ცალკეულ უბნებზე ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს ეწეოდნენ.

ჩვენმა საზენიტო ნაწილებმა და მტრის თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 8 თვითმფრინავი იმათგან, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ხამხიხის, ვონსანის, ნამფხოს დასახლებულ რაიონებსა და აღმოსავლეთ და დასავლეთ სანაპიროს ზღვისპირა რაიონებზე თავდასხმებში.

ქაკ დიუკლოს ინტერვიუ გაზეთ „ლუმანიტეს“ კორესპონდენტებისადმი

პარიზი, 3 ივლისი. (საკდესი). გაზეთმა „ლუმანიტემ“ დღეს გამოაქვეყნა ინტერვიუ, რომელიც ქაკ დიუკლომ საპყრობილიდან გამოსვლისას ამ გაზეთის კორესპონდენტებს მისცა. ინტერვიუში, კერძოდ, ნათქვამია:

კითხვა: რას ფიქრობ საგამომძიებლო პალატის გადაწყვეტილებაზე?

პასუხი: ვფიქრობ, რომ ეს მშვიდობისა და თავისუფლების საქმის დიდი გამარჯვებაა. ეს გამარჯვებაა მთელი მსოფლიოს ხალხებისა, რომლებმაც თავიანთი სოლიდარობა ფრანგ ხალხთან გამოხატეს ძმობის ამაღელვებელი გრძნობით, რაც საპყრობილეში ჩვენს გულს ესალბუნებოდა; ეს ხაზგასმით აღნიშნავს უდიდეს ძალას, რომელსაც წარმოადგენს მშვიდობის ბანაკი სოციალიზმის დიდი ქვეყნის, ლენინისა და სტალინის დიდი ქვეყნის მეთაურობით. ეს არის საფრანგეთის მუშათა კლასისა და ხალხის გამარჯვება, რომლებმაც დაინახეს, თუ რა საფრთხეს წარმოადგენს დემოკრატიული თავისუფლებებისა და მშვიდობისათვის მარტინო-დეპლას და „ბრიუნის ფირმის“ „შეთქმულება“ (მარტინო-დეპლა საფრანგეთის იუსტიციის მინისტრია, ბრიუნი კი — შინაგან საქმეთა მინისტრი— **რედ.**).

დიდი მადლობელი ვარ იმ სოციალისტებისა, სხვადასხვა მიმართულების დემოკრატებისა, კათოლიკეებისა და ყველა ადამიანისა, რომლებმაც გაილაშქრეს მთავრობის რეპრესიების წინააღმდეგ და ხელი შეუწყეს მასების მოკმედების ერთიანობის ეფექტიანობის გამოვლინებას, რათა გზა გადაეღობათ ფაშიზმისა და ომისათვის.

ბოლოს, მსურს ვთქვა: საგამომძიებლო პალატის გადაწყვეტილება ხაზგასმით აღნიშნავს, რომ უსამართლობისადმი ზიზღს, რამაც ხალხის მასები მოიცვა, გავლენა აქვს სულ უფრო ფართო წრეებზე და, როგორც ფაქტები მოწმობენ, სასამართლო წრეები გამონაკლისს როდი შეადგენენ. ეს მოწმობს, თუ გაერთიანების რა უდიდესი შესაძლებლობებია გადაშლილი ჩვენს წინაშე, რათა საფრანგეთი ვიხსნათ ფაშიზმის სიცხვლისა და ახალი ომის საშინელებისაგან.

კითხვა: რაღა რჩება „შეთქმულებისაგან“ მას შემდეგ, რაც გაუქმდა გადაწყვეტილება შენი დევნის შესახებ?

პასუხი: მთავრობა, რომელმაც მაგარი სილა იწვნია საგამომძიებლო პალატის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, უემეველია, შეეცდება რევანში აიღოს. მაგრამ ცხადია, რომ ბრიუნი და მარტინო-დეპლა მხილებული არიან სამსახურებრივ დანაშაულში ისევე, როგორც ბელონ (პარიზის პოლიციის პრეფექტი. — **რედ.**), რომ ალარ ვილაპარაკოთ ბატონ ჟაკინისა და ეიდალზე (დიუკლოს „საქმის“ გამომძიებელნი. — **რედ.**). ფრანგმა მოსამართლეებმა განაცხადეს, რომ მე უკანონოდ დამპატიმრეს, და ამით გამოავლინეს იმათ მიერ ჩადენილი დანაშაული, ვინც ჩემი დაპატიმრების ბრძანება გასცა და ვისაც საპყრობილეში უკანონოდ ვყავდი დაჭყუდეული. და ახლა ისე, როგორც ჩვენ ზედიზედ დავარღვიეთ და უკუვაგდეთ „შეთქმულებაში“ ბრალდების პირველი „საფუძვლები“, აღარაფერი არ უნდა დავტოვოთ იმ ბრალდებებიდან, რომლებიც წამოყენებულია პირველ ბრალდებათა ნაცვლად და რომლებიც ემყარება ტულონში მოხდენილ ჩხრეკასა და იმ ნაყალბევებს, რასაც შესაძლოა შინაგან საქმეთა სამინისტროს ეს ვაჟბატონები თითხნიან. მე მტკიცედ ვიმეორებ: „შეთქმულებათა“ შემთხზველები უტიფრად ტყუიან. მათი ეგრეთწოდებული ფოსიე უფრო სერიოზული არ არის, ვიდრე „დანაშაულის ადგილზე წასწრება“, რასაც ბრალად მდებდნენ. ჩვენ ვიწვევთ მათ — დაე იმაში, რასაც ჩვენ ვაკეთებთ და იმაში, რასაც ვწერთ, იპოვნონ ისეთი რამ, რაც შეიძლება მათი ყალბი ბრალდების საფუძვლად გამოდგეს.

ჩვენ მოვიპოვეთ პირველი გამარჯვება; მას შეიძლება მოჰყვეს და უნდა მოჰყვეს ახალი და დიდი გამარჯვებანი.

კითხვა: რა მდგომარეობაში იყო ანდრე სტილი, როცა შენ განშორდი?

პასუხი: როცა გუშინ 20 საათსა და 40 წუთზე მე გამომიცხადეს, თავისუფალი ხარო, გული შემეკუმშა იმის გამო, რომ ანდრე სტილი უნდა დამტოვებინა „სინტეს“ საპყრობილის პოლიტიკური პატიმრების ამ განყოფილებაში, სადაც ერთ თვეს ერთად ვცხოვრობდით. მომაგონდა სიმონა—მისი მამაცი მეუღლე და მისი შვილები, რომლებსაც ჩვენს საპყრობილეში ახალგაზრდობისა და ანეი მხიარულების ჰანგი შემოჰქონდათ ნახვის დროს. წმოსვლისას გადავეხვიე ანდრე სტილს და დავპირდი, რომ ჩვენ ყველანი ერთად ყოველივე შესაძლებელს მოვიმოქმედებთ, რათა საპყრობილიდან დავიხსნათ იგი და ყველა პატიმარი და ბოლო მოვუღოთ „შეთქმულებას“. ჩვენ შევასრულებთ დაპირებას, არა, ამხანაგებო? ჩვენ გავათავისუფლებთ ანრი მარტენსაც.

კითხვა: „შეთქმულებაში“ სხვა ბრალდებულნი პოლიტიკური რეჟიმით არ სარგებლობენ?

პასუხი: არა. იუსტიციის მინისტრმა ჩაიდინა კიდევ ერთი საზიზღრობა, როცა უარი თქვა „შეთქმულებაში“ სხვა ბრალდებულთათვის პოლიტიკური რეჟიმი დაემყარებინა. მან ამჯობინა ანდრე სტილისა და ჩემი იზოლირება, რათა უფრო ადვილად ჩაედინა ისეთი დანაშაული, როგორც გუშინ ღამით მომხდარი მოტაცების ცდა, რის საშუალებითაც მარტინო-დეპლა იმედოვნებდა მიეღო შესაძლებლობა ხელში ყოლოდი.

გრეგორიო ლოპეს რაიმუნდოსა და მისი ამხანაგების გასამართლება

ლონდონი, 3 ივლისი. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, რომ გუშინ ბარსელონაში დაიწყო გრეგორიო ლოპეს რაიმუნდოსა და 26 სხვა ესპანელი პატრიოტის გასამართლება, რომლებსაც ბრალად სდებენ კატალონიის გაერთიანებული სოციალისტური პარტიის აღდგენის ცდას, სოციალისტური გაზეთის „ტრებალის“ არალეგალურად გამოცემას და ესპანეთის კომპარტიის ორგანოს გაზეთ „მუნდო ობრეროს“ გავრცელებას ესპანეთში. ამ გაზეთს ესპანელი ემიგრანტები სცემენ საფრანგეთში.

თბილისის ნახშირმეავა გაზის ქარხანა მშრალი ყინულით (გაყინული ნახშირმეავათი) თბილისის გარდა ამარაგებს ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების დედაქალაქებსაც — ბაქოსა და ერევანს. **სურათზე:** 1. მშრალი ყინულის საამქროს ცვლის ინჟინერი ნ. მღებრიშვილი თვალყურს ადევნებს ყინულგენერატორის მუშაობას. 2. კომკავშირელი ა. ურიგაშვილი კონტეინერიდან იღებს მშრალი ყინულის მზა პროდუქციას. ფოტო რ. აკოფოვისა

ირაკლი აბაშიძის ლექსების ციკლი რუსულად

მოსკოვი. („კომუნისტის“ კორ.). გამოვიდა სამხატვრო-ლიტერატურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალის „ნოვი მირის“ მე-7 ნომერი. ჟურნალში სხვა მასალებთან ერთად მოთავსებულია ირაკლი აბაშიძის ლექსების ციკლი „სიმღერა მკის დროს“. თარგმანი შესრულებულია ნ. გრებნევის მიერ.

კ. ხეთაგუროვის ხის ბიუსტი

სტალინირი. (საკ. კორ.). ამას წინათ სტალინირში სამხრეთ ოსეთის ხალხური შემოქმედების სახლში მხატვრული ქარგვის ოსტატმა ასლან პლიევმა წარმოადგინა იშვიათი ხელოვნებით ნაქმნილი ხალიჩა, რომელზეც მაღალი გემოვნებით არის ამოქარგული კოსტა ხეთაგუროვის პორტრეტი.

აქვე შ. ზასოხოვმა მოიტანა მის მიერ ხისგან გამოკვეთილი ბიუსტი კ. ხეთაგუროვისა.

მოსნავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადა

ტანვარჯიშში შეჯიბრების შედეგები

მოსწავლეთა რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე დამთავრდა სპორტსმენ ქალთა და ვაჟთა შეჯიბრება სპორტულ და მხატვრულ ტანვარჯიშსა და აკრობატიკაში.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების 141 მოსწავლე მონაწილეობდა სპორტულ და მხატვრულ ტანვარჯიშსა და აკრობატიკაში საერთო მაჩვენებლების მიხედვით გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა თბილისის ოლქის პირველმა გუნდმა, მეორე ადგილზე დამოვიდა კონკურსგარეშე მონაწილე თბილისის ოლქის მეორე გუნდი, მესამეზე — ქუთაისის ოლქის გუნდი, ხოლო დანარჩენ ადგილებზე — აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მოსწავლე სპორტსმენთა გუნდები.

შეჯიბრების დასასრულს სპორტულ და მხატვრულ ტანვარჯიშსა და აკრობატიკაში გამარჯვებულ გუნდებსა და სპორტსმენებს გადაეცათ ჯილდოები.

დედაქალაქის პიონერთა ბანაკებში

თბილისის ბერიას სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მუშაკებმა გადაწყვეტეს დედაქალაქში გახსნილ პიონერთა ბანაკებში ითავონ ბავშვთა კულტურული გართობის მოწყობა. ამ მიზნით სასახლის მუშაკები ბანაკებში დასასვენებლად გასულ ბავშვებთან აწყობენ საუბრებს საინტერესო თემებზე: „პიონერის პატიოსანი სიტყვა“, „თბილისის ისტორია“ და სხვ.

გარდა ამისა, სასახლის ძალებით ბანაკებში გამართავენ ძველად ამოსახსნელ სათამაშოთა ტურნირებს, უჩვენებენ თოჯინების თეატრის სპექტაკლებს, ტექნიკური ხასიათის კინოფილმებს და აწყობენ პიონერთა ექსკურსიებს თბილისის სტალინური ისტორიული ადგილების დასათვალიერებლად.

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“

პირველი გვერდი — მოწინავე — პარტიული პროპაგანდის მნიშვნელოვანი ამოცანები.

საერთო სათაურით „გავაფართოოთ მოსავლის აღების ფრონტი“. წერილები: გ. ბოჭორიშვილი — გავითვალისწინოთ წლევანდელი მოსავლის აღების თავისებურებანი. ა. კუმარიტოვი — ჯავის რაიონში თიბვას აგვიანებენ.

საქართველოს პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის პლენუმი.

მეორე გვერდი — გ. ჯობაძე — წამოგწოოთ ჩამორჩენილი საწარმოები.

მკითხველთა წერილები.

ა. ნემსაძე — თელავის თეატრის ორი სპექტაკლი.

გამოჩენილი **რუსი** მეზღვაური (ვ. ს. **ნახიმოვის** დაბადებიდან 150 წლისთავის გამო).

მესამე გვერდი — მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საგანგებო სესია. ჟაკ დიუკლოს ინტერვიუ გაზეთ „ლუმანიტეს“ კორესპონდენტებისადმი.

მეოთხე გვერდი — უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

რედაქტორი ზ. მერკვილაძე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. მელიქიშვილის სახელობის ქიმიის ინსტიტუტი აცხადებს, რომ ა. წ. 15 ივლისს, დღის 12 საათზე დიდ აუდიტორიაში (ყამოს ქ. № 34/36) ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავენ:

ანა ლევანის ასული გაცანაძე თემაზე: **„Адсорбция электролитов на алюмокремневых гелях и новые основные соли алюминия“.**

ოფიციალური ოპონენტები: ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ვ. კოკოჩაშვილი**, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი **ე. ნანობაშვილი.**

ზინაიდა მელიტონის ასული თოფურია თემაზე: **„Исследование скорости сорбции и десорбции паров воды, метилового и этилового спиртов на асканите, силикагеле и алюмогеле“.**

ოფიციალური ოპონენტები: მეცნიერებისა და ტექნიკის დაშსახურებული მოღვაწე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ვ. კაკაბაძე**, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **ი. ბაცანაძე.**

დისერტაციების გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

„გლავუტილსირიოს“ საქართველოს რესპუბლიკური კანტორა აცხადებს საწარმო-დაწესებულებათა, საზოგადოებრივი კვების საწარმოთა, სავაჭრო წერტილების, სასწავლებლების და მოქალაქეების საყურადღებოდ, რომ **„გლავუტილსირიოს“** დამამზადებელი კანტორები იღებენ საფასურის გადახდით შემდეგ უტილნედლეულს:

სხვადასხვა სახის ჩვრებს, მაულატურას (ძველ ქაღალდს), ძვალს, ფერადი და შავი ლითონის ნამტვრევებს, კალოშებს, ფრთა-ბუმბულს, ჯაგარსა და ძუა-ფაფარს.

უტილნედლეულის დაწვისა და წახდენისათვის საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები პასუხს აგებენ თანახმად არსებული კანონისა.

დამამზადებელი კანტორებისა და პუნქტების მისამართია: ქ. თბილისში—საბჭოს ქ. № 32, ზეთაგუროვის ქ. № 80 და მისსნიკოვის ქ. № 88, ტელეფონი—3-58-68, ქ. ბათუმში—მოლოტოვის ქ. № 67, ქ. სუხუმში—„ობვოდნი“ ფაბრიკა № 20, ქ. გორში—ჯუღაშვილის ქ. № 16, ქ. ფოთში—ცხაკაიას ქ. № 37, ქ. ახალციხეში—ხაკაევიჩის ქ. № 19, ბოლნისში—საკაძის ქ. № 79, წნორში—ბერიას ქ. № 55, ქ. ქუთაისში—წერეთლის ქ. № 92 და მათი დამამზადებელი პუნქტები: თიანეთი, საგარეჯო, მახარაძე, ჯუდუთა, ოჩამჩირე, ზუგდიდი, სამტრედია, ხაშური, სტალინირი, თელავი, ლაგოდეხი, თეთრი წყარო.

„გლავუტილსირიოს“ საქართველოს რესპუბლიკური კანტორა. ტელეფონი—3-77-09.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს თბილისის ავტოსარემონტო ქარხანა აუწყებს საწარმოების, ქარხნების, ფაბრიკების, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების ყველა ხელმძღვანელს, რომ თბილისის ავტოსარემონტო ქარხანა იღებს ავტომანქანებს კაპიტალური რემონტისათვის ახალი ტექნიკური პირობების თანახმად.

კაპიტალური რემონტისათვის წარდგენილ ავტომობილებს ავტოსარემონტო ქარხანა იღებს შემდეგი პირობით:

ა) თუ შესაკეთებელი ავტომობილის ტექნიკურ პასპორტთან ერთად არის ტალონი, გაცემული იმ სახელმწიფო ავტონსპექციის მიერ, რომლის აღრიცხვაზეა ავტომობილი;

ბ) თუ არის ავტომეურნეობის ცნობა ავტომობილის შესაკეთებლად გაგზავნის შესახებ იმ თარიღის აღნიშვნით, როცა ავტომობილი ექსპლოატაციიდან მოიხსნა შესაკეთებლად, აგრეთვე ცნობა — რამდენი გაირბინა ავტომობილმა ექსპლოატაციის დაწყებიდან და უკანასკნელი კაპიტალური ან საშუალო რემონტის შემდეგ;

გ) თუ არის მეურნეობის მიერ შედგენილი აქტი ავტომობილის ან ცალკეული აგრეგატების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ იმ დღისათვის, როცა ავტომობილი ექსპლოატაციიდან მოიხსნა შესაკეთებლად.

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

6 ივლისს

რადიოსადგურებით 1571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით.

06.25 — ქართული ხალხური სიმღერები; 07.30 — შოსტაკოვიჩის სიმფონიური სიტყვა; 09.20 — პოპულარული არიები; 11.10 — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეების დების იშხნელების კონცერტი; 11.30 — „პიონერთა დაფიორნი“ საკვირაო გამოშვება; 12.30 — კონცერტი ჰუსკოვისათვის; 16,00 — რადიოკურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ № 68; 17.20 — ვალსები; 17.45 — გადაცემა მოსწავლეთათვის — აზერბაიჯანული ზღაპრის „ქაჩალ-ბიჭის“ რადიოინსცენირება; 18.45 — კონცერტი ხელოვნების ოსტატთა შესრულებით.

რადიოსადგურებით 1500 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით.

20.30 — საუბარი: „რას ნიშნავს საწარმოო ძალების რაციონალური განლაგება და როგორია მისი მნიშვნელობა“; 20.45 — რესპუბლიკის სახალხო არტისტის ნ.ედეკა ცომაიას კონცერტი; 21.00— გადაც